



საქართველოს კომუნიკაციების  
ეროვნული კომისია

დაინტერესებული პირების მიერ (დოკუმენტზე - უსადენო  
ფართოზოლოვანი მიწისზედა სისტემებისათვის  
ჰარმონიზებული და კანდიდატი სიხშირული  
დიაპაზონები, ხელმისაწვდომი რესურსი და დაგეგმილი  
აუქციონები) წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები,  
კომისიის პასუხები და შემდგომი კონსულტაცია

გამოქვეყნების თარიღი: 25 აგვისტო

საკონსულტაციო პერიოდი: 12 სექტემბრამდე

შესავალი .....	4
1. 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირეების ლიბერალიზაცია- ოპტიმიზაციისა და აუქციონების ჩატარების ორფაზიანი პროექტისა და მისი მსვლელობის მოკლე აღწერილობა.....	9
2. 700 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსის 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებთან ერთად აუქციონზე გამოტანის შესაძლებლობა.....	12
3. 800 მჰც ასევე 900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში არსებული თავისუფალი რესურსის აუქციონზე ცალ-ცალკე (მოთხოვნის შემთხვევაში) გატანის საკითხი .....	13
4. საკონსულტაციო პერიოდი .....	14
5. აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონების ჩატარებამდე ვადა.....	14
6. 800 მჰც დიაპაზონში არსებული პრობლემატური მე-6 ბლოკის (2x5მჰც რესურსის) სხვა სიხშირულ რესურსთან ერთობლივად აუქციონზე გამოტანის საკითხი და შესაბამისი ვალდებულებები.....	17
7. 800 მჰც დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით ბლოკებზე დაშვების საკითხი ..	19
8. სილქენტის F11 ლიცენზიის (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირების საკითხი.....	20
9. აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული ლიცენზიები (ლოტები) და შესაბამისი ვალდებულებები (დაფარვის ვალდებულების გარდა) .....	21
9.1 აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული ლიცენზიები.....	21
9.2 800 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული 3 აბსტრაქტული და ერთი კონკრეტული (857- 862 და 816-821 მჰც რესურსი (მე-6 ბლოკი)) ლიცენზიის შესაბამისი სტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას) .....	22
9.3 800 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული კონკრეტული (857-862 და 816-821 მჰც რესურსი (მე-6 ბლოკი)) ლიცენზიის შესაბამისი არასტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები.....	24
9.4 900 მჰც (880-884.5 და 925-929.5 მჰც) და 1800 მჰც (1770-1775 და 1865-1870 მჰც) კონკრეტული ლიცენზიების შესაბამისი სტანდარტული ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას) .....	24
9.5 2100 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული 3 „აბსტრაქტული“ ლიცენზიის (1935- 1950 და 2125-2140 მჰც) შესაბამისი სტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას).....	25
10. აუქციონის ფარგლებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობები (ე.წ Spectrum Cap-ები) .....	27
10.1 მობილური/უსადენო სისტემებისათვის ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზებული /კანდიდატი რადიოსიხშირული დიაპაზონები, საქართველოში არსებული სიტუაცია და დაგეგმილი მიმართულებები.....	27

10.2 ტექნოლოგიების/სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობებისა და რადიოსიხშირული რესურსის მოხმარების კუთხით არსებული სიტუაცია და მომავალი ტენდენციები.....	30
10.3 საქართველოში მობილურ ბაზარზე არსებული სიტუაცია.....	38
10.4 ე.წ. Spectrum Cap-ი და პოტენციური შედეგები.....	40
11. დაფარვის ვალდებულება .....	48
12. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური .....	53
13. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის პირობები .....	58
14. აუქციონების ფორმატი და აუქციონების გამართვის წესი .....	59
დანართი 1 - 800 მჰც დიაპაზონის „A“ (პირველი) ლიცენზიის ვალდებულება.....	66
დანართი 2 - 800 მჰც დიაპაზონის „B“ (მეორე) ლიცენზიის ვალდებულება.....	70
დანართი 3 - 800 მჰც დიაპაზონის „C“ (მესამე) ლიცენზიის ვალდებულება .....	74

## შესავალი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2015 წლის 19 ივნისს გამოაქვეყნა დოკუმენტი<sup>1</sup>, რომელიც ასახავს უსადენო ფართოზოლოვანი მიწისხედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ (800/900/1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც) დიაპაზონებში აუქციონების ჩატარების (მე-2 ფაზა) მიმართ კომისიის ხედვას და სხვა კანდიდატი დიაპაზონების მიმართ სამომავლო მიდგომას.

დამატებით, კომისიამ ინგლისურენოვანი საკონსულტაციო დოკუმენტი გაუგზავნა EBRD-ის, ევროკომისიას, მსოფლიო ბანკს, GSMA-ს, საერთაშორისო საკონსულტაციო ფორმებს და სთხოვა მათ როგორც მოსაზრებების წარმოდგენა, ასევე, დოკუმენტის გადაგზავნა საერთაშორისო/ევროპულ ბაზარზე მოქმედი პოტენციური ინვესტორებისათვის.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, 2015 წლის 31 ივლისამდე, წერილობით გამოეხატათ წინასწარი ინტერესი 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში დაგეგმილ აუქციონებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით და წარმოედგინათ მოსაზრებები აუქციონების ჩატარების საკითხებზე.

ზემოხსენებული დოკუმენტის მიზანი იყო ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პოტენციური ინვესტორების დაგეგმილი აუქციონების შესახებ წინასწარი ინფორმირება, 800/900/1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში ხელმისაწვდომ რესურსზე (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე) არსებული მოთხოვნის წინასწარი იდენტიფიცირება, დაინტერესებული პირებისაგან აუქციონების ჩატარების საკითხებზე მოსაზრებების მიღება და დაინტერესებული პირებისათვის სხვა (700 მჰც, 1,5 გჰც, 2.3 გჰც) კანდიდატი დიაპაზონების მიმართ კომისიის სავარაუდო სამომავლო ხედვის/მიდგომების გაცნობა.

დოკუმენტში განხილულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები და კითხვები წარმოადგინეს შპს „მათიკომმა“, შპს „ჯეოსელმა“, შპს „მობიტელმა“, EBRD-ის კონსულტანტმა (Peter Lundy), ევროკომისიის წარმომადგენელმა (Vassilis Kopanas), ასევე ზემოხსენებული საკონსულტაციო დოკუმენტის გამოქვეყნებამდე წერილობით მოგვმართა GSMA-ს წარმომადგენელმა.

დამატებით, კომისიამ შეიმუშავა წინამდებარე საკონსულტაციო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით ყველა საკითხის მიმართ კომისიის ხედვას.

წინამდებარე დოკუმენტში საკითხები დაჯგუფებულია თემატურობისა და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი ძირითადი კომენტარების/კითხვების მიხედვით, რომელსაც თან სდევს კომისიის პასუხები და მოსაზრებები.

<sup>1</sup> იხ. <http://gncc.ge/uploads/other/1/1347.pdf>

<sup>2</sup> 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირეების ლიბერალიზაცია-ოპტიმიზაციისა და აუქციონების ჩატარების მიზნით დაგეგმილი ორფაზიანი პროექტის პირველი ფაზა დასრულდა 2015 წლის იანვარში

## საკითხები

- 700 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსის 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებთან ერთად აუქციონზე გამოტანის შესაძლებლობა და ჰარმონიზებულ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში არსებული რესურსის ცალ-ცალკე (მოთხოვნის შემთხვევაში) აუქციონზე გატანის საკითხი
- აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საკონსულტაციო პერიოდი, კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტის (რომლიც განსაზღვრავს აუქციონის ჩატარების დეტალურ პირობებს - ე.წ. Spectrum Cap –ებს, სიხშირულ ლოტებს, დაფარვის ვალდებულებებს, ლიცენზიების საწყის საფასურს, ლიცენზიის საფასურის გადახდის პირობებს, აუქციონის ფორმატს და ა.შ) განხილვისათვის განკუთვნილი საკონსულტაციო პერიოდი
- აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონის ჩატარებამდე ვადა და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში აუქციონების ჩატარების სფარაუდო თარიღი

## დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და კითხვები

### შპს „მაგთიკომი“

შპს „მაგთიკომმა“ ჯერ კიდევ 2015 წლის 2 თებერვალს (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №7/60-15) მოითხოვა 800 მჰც დიაპაზონში არსებულ თავისუფალ 2x5 მჰც-იან ბლოკზე აუქციონის გამოცხადება.

ასევე, კომპანიამ, კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტზე 2015 წლის 24 ივნისს წარმოადგინა მოსაზრებები (წერილის კომისიაში რეგისტრაციის № შ-6/4276.15), სადაც აღნიშნულია რომ: „ საკონსულტაციო დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი კომისიის ხედვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ჰარმონიზებულ დიაპაზონში არსებული სიხშირეების გაცემისას, მოსალოდნელი სალიცენზიო ვალდებულებები. დოკუმენტში ასევე არ არის განხილული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენის და შესაბამისად აუქციონში მონაწილეობის შეზღუდვის პრინციპები.“

დამატებით, შპს „მაგთიკომმა“ 2015 წლის 27 ივლისს მომართა კომისიას (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/5233.15), სადაც აღნიშნავს, რომ არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოება და ითხოვს 800 მჰც დიაპაზონში აუქციონის დროულად გამოცხადებას.

### შპს „მობიტელი“

შპს „მობიტელს“ მიაჩნია (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/4737.15), რომ 2016 წლამდე არ უნდა გაიმართოს აუქციონები. კომპანია აღნიშნავს, რომ „2015 წელს გაიმართა აუქციონი 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონზე, 2015 წელსვე განხორციელდა მოქმედი ლიცენზიების ვადის გაგრძელება, რაც კომპანიებისათვის მსხვილ მატერიალურ დანახარჯებთან და სერიოზულ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად აუქციონების 2015 წელს ჩატარების

შემთხვევაში შპს „მობიტელი“ ვერ შეძლებს სათანადო ინვესტიციების მოძიებას და კომპანია დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდება“.

ასევე, კომპანიას მიაჩნია, რომ სამომავლო ინვესტიციების ეფექტიანობის შესაფასებლად, კანონით განსაზღვრული ერთი თვის ვადა (აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონის გამართვამდე) გონივრული არ არის და ითხოვს, რომ აუქციონის არსებითი პირობები გამოქვეყნდეს აუქციონის გამოცხადებამდე 3 თვით ადრე.

დამატებით, წერილში აღნიშნულია: „ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული ე.წ. Spectrum Cap –ი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, რაც ჩვენი აზრით, აუცილებელია.“

### შპს „ჯეოსელი“

შპს „ჯეოსელის“ აზრით (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/4914.15):

ა) ბაზრის მონაწილეების საჯარო კონსულტაციებში ინტენსიურად ჩართვის გარეშე შეუძლებელია კომისიის ძირითადი მიზნის მიღწევა, კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ეფექტური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

ბ) საკონსულტაციო პერიოდის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს საკმარისი დრო უნდა მიეცეთ იმისათვის, რომ მოამზადონ, გააანალიზონ და შეაფასონ სხვადასხვა მოსაზრებები და დეტალურად გაერკვნენ ყველა მნიშვნელოვან საკითხში. ასევე, საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს მარეგულირებელს იმისათვის, რომ განიხილოს/გაიაზროს ბაზრის მონაწილეების მოსაზრებები და წარმართოს პროცესი.

გ) აუქციონის გამოცხადების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონის ჩატარებამდე პერიოდი უმნიშვნელოვანესია ოპერატორებისათვის, იმისათვის, რომ შეაფასონ და მოამზადონ ბიზნეს გეგმა, მოიძიონ სახსრები და მიიღონ წინდახედული გადაწყვეტილება. მაგალითად: აღნიშნული პერიოდი ევროპის ქვეყნებში არანაკლებ 3-4 თვეა.

შპს „ჯეოსელი“, ასევე, აღნიშნავს, რომ ა) კომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში არ არის განხილული ე.წ. Spectrum Cap –ის საკითხი და ბ) მიუხედავად იმისა, რომ ჯეოსელისათვის გასაგებია, რომ კომისია გეგმავს დააწესოს დაფარვის ვალდებულება 800 მჰც ლიცენზიებზე, კომპანიას აინტერესებს კონკრეტული მოთხოვნები დაფარვის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც სალიცენზიო პირობები ყველა სხვა ტექნიკურ და არატექნიკურ საკითხებზე.

დამატებით, შპს „ჯეოსელი“ გვთავაზობს, რომ კომისიამ დაგეგმილ აუქციონზე (800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებთან ერთად) გამოიტანოს 700 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული რესურსი. ჯეოსელის აზრით, მოცემულ ოფციას დადებითი მხარე გააჩნია როგორც კომისიისათვის, ასევე, ოპერატორებისათვის, კერძოდ დაიზოგება 700 მჰც აუქციონის დამოუკიდებლად ჩატარების ხარჯები. ჯეოსელი ვარაუდობს, რომ საქართველოშიც (გერმანიის მსგავსად) 700 მჰც სიხშირული რესურსი არ იქნება ხელმისაწვდომი გამოყენებისათვის 2016-2017

წლამდე, თუმცა იმისათვის, რომ საქართველოში შეიქმნას მდგრადი ბიზნეს გარემო, 700 მჰც რესურსი აუქციონზე უნდა გამოვიდეს დაგეგმილი მრავალდიაპაზონიანი აუქციონის ფარგლებში.

ასევე შპს „ჯეოსელი“ სვამს შემდეგ კითხვებს:

ა) „იმ შემთხვევაში თუ კომისია 700 მჰც რესურსს არ გამოიტანს აუქციონზე 800 მჰც დიაპაზონთან ერთად, 800 მჰც დიაპაზონში არსებული რესურსი აუქციონზე გამოვა ერთად თუ ცალ-ცალკე, მოთხოვნის შესაბამისად?“

ბ) „როდის და რა პროცედურების/საქმიანობების დასრულების შემდგომ გეგმავს კომისია აუქციონის გამოცხადებას?“

### GSMA

GSMA-ის მიერ გამოგზავნილ წერილში (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №8/3598.15) აღნიშნულია:

„როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, უახლოეს მომავალში, გეგმავს 800 მჰც და 700 მჰც სიხშირული დიაპაზონების აუქციონზე გამოტანას. GSMA-ი შიშობს, რომ აუქციონის ასეთ მოკლე ვადაში გამართვა საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებზე მოახდენს არამართლზომიერ ზეწოლას, რადგან საშუალება არ იქნება განხორციელდეს საერთაშორისო მარეგულირებელი საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი საჯარო და გამჭვირვალე საკონსულტაციო პროცედურები.

მარეგულირებელი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს, რომ რადიოსიხშირული სპექტრის აუქციონები კარგად უნდა განისაზღვროს წინასწარ, სფეროს დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად. შესაბამისად, სამართლიანი, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნის მიზნით, აუქციონის გამართვამდე უნდა განხორციელდეს სათანადო საჯარო კონსულტაციები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ადეკვატურ დროს, რათა განხორციელდეს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით დისკუსიებისა და საჯარო მოსმენების ორგანიზება და ბაზრის მოთამაშეებმა შეძლონ აუქციონის წესების სამუშაო ვარიანტზე და განსაზღვრულ საწყის საფასურზე კომენტარების წარმოდგენა.

GSMA-ი შიშობს, რომ არსებული სიტუაცია, კერძოდ, 800 მჰც სიხშირული დიაპაზონის აუქციონისათვის განსაზღვრული შემჭიდროებული ვადა ხელს არ შეუწყობს არც ჯანსაღ მარეგულირებელ გარემოს და არც საფუძვლიანი საკონსულტაციო პროცესის ჩატარებას. შესაბამისად, ჩვენ ვთავაზობთ, გადაიდოს აუქციონი, რათა დაინტერესებულ პირებს მიეცეთ საშუალება საფუძვლიანად შეისწავლონ ბაზარზე არსებული პირობები, რომ ახალი სიხშირული რესურსის ხელმისაწვდომობის პირობებში უკეთ განსაზღვრონ თავისი პოზიციები.

დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი სიხშირული რესურსის განაწილება ზეგავლენას იქონიებს ბაზრის დინამიკაზე, მნიშვნელოვანია, მარეგულირებელმა ბაზრის

მონაწილეებს წინასწარ გააცნოს რადიოსიხშირული რესურსის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმ სიხშირულ დიაპაზონებზე, რომლის განაწილებასაც გეგმავს კომისია მობილური მომსახურებისათვის (მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში) და სიხშირული რესურსის განაწილების კუთხით არსებული სიტუაციის ანალიზს.

საქართველოს შემთხვევაში, 800 მჰც სიხშირული დიაპაზონის აუქციონის გამართვამდე უმჯობესია განისაზღვროს 700 მჰც სიხშირულ დიაპაზონთან დაკავშირებული გეგმები და ვადები. აღნიშნული საშუალებას მისცემს ოპერატორებს, გაცნობიერებულად დაგეგმონ ინვესტიციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და სათანადო საკონსულტაციო პერიოდის უზრუნველყოფის მიზნით, GSMA-ი, საქართველოში მოქმედი მისი წევრი ოპერატორების სახელით, მოგიწოდებთ, გადახედოთ 800 მჰც სიხშირული დიაპაზონის აუქციონის ჩატარების ვადებს. სწორად დაგეგმილი/შემუშავებული აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრის დაბალანსებულად განაწილების წინაპირობაა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მობილური სექტორის გრძელვადიან განვითარებასა და კონკურენციას.“

### ევროკომისია

ევროკომისიის მიერ გამოგზავნილ წერილში (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №8/4318.15) აღნიშნულია: „აუქციონში მონაწილეობის მსურველი ზოგიერთი პოტენციური ინვესტორის აზრით, აუქციონის გამოცხადებიდან აუქციონის ჩატარებამდე დაგეგმილი პერიოდი შესაძლებელია არასაკმარისი იყოს ბაზრის მონაწილეების მხრიდან შესაბამისი წინასწარი შეფასებებისა და ანალიზის განსახორციელებლად. უფრო ზუსტად აუქციონის მონაწილეებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ დაგეგმონ მომავალი განვითარების მიმართულებები და შეაფასონ აუქციონთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორც არის ე.წ. Spectrum Cap –ი, სიხშირული ლოტები, დაფარვის ვალდებულება, აუქციონის ჩატარების ფორმატი და ა.შ.

ევროკომისიისათვის გასაგებია, რომ აუქციონების მოკლე პერიოდში ჩატარებას შესაძლებელია ჰქონდეს მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელი. თუმცა, თუ ოპერატორებისათვის აუქციონის ჩატარებამდე ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ინფორმაცია და მათ ყველა საჭირო დეტალის შეფასების შესაძლებლობა ექნებათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მობილური ბაზრის პოტენციური გრძელვადიანი განვითარება და ეკონომიკაში გრძელვადიანი ფინანსური კონტრიბუცია საგრძნობლად გაძლიერდება.

აქედან გამომდინარე, თუ აუქციონის დეტალები (როგორც 700 მჰც-ის, ასევე 800 მჰც-ის დარჩენილი ნაწილის შემთხვევაში) ცნობილი გახდება საჯაროდ 2015 წლის ზაფხულში, ევროკომისიას აინტერესებს აუქციონის ჩატარებამდე გამოიყოფა თუ არა გონივრული პერიოდი (მაგ: სულ მცირე 6 თვე 2016 წლის დასაწყისამდე?). იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ დაგეგმილ პროცესში, საინტერესოა ვიცოდეთ, დაგეგმილი ვადები უკვე შეთანხმებული და დადგენილია თუ ჯერ კიდევ შესაძლოა გადაიხედოს.“

### EBRD



EBRD -ის მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია: „მთლიანობაში, როგორც ჩანს დოკუმენტი შესაბამისობაშია სიხშირეების კუთხით დღეს არსებულ მეთოდოლოგიასთან.

ზოგადად მისაღებია დიაპაზონის აუქციონზე გატანა ერთი-ორი წლით ადრე, ვიდრე რესურსი ხელმისაწვდომი იქნება გამოყენებისათვის, ოპერატორებს ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდებათ გარკვეული ვადა იმისათვის, რომ დაგეგმონ თავისი ქსელები.

მაგალითად, გერმანიაში დამთავრდა 900 და 1800 მჰც სიხშირულ რესურსზე აუქციონები, რომელთა შესაბამისი ლიცენზიებიც ძალაში შევა 2017 -დან (2033 წლამდე). გერმანიის მარეგულირებელი (BNetzA) აღნიშნულს ამზადებდა წლების განმავლობაში. შესაბამისად რამდენიმე წლით ადრე, ყველამ იცოდა რას განახორციელებდა მარეგულირებელი. ახლა, როცა ზემოაღნიშნული დასრულებულია გერმანიის მარეგულირებელი (BNetzA) დაიწყებს შემდეგი ეტაპის დაგეგმვას. UMTS ლიცენზიებს ვადა გასდის 2020 წელს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ზემოაღნიშნული ლიცენზიების სამომავლო გეგმების შესახებ თავის პირველ იდეებს BNetzA წელს გამოაქვეყნებს, უფრო კონკრეტულ იდეებს -2016-2017 წლებში და აუქციონს ჩაატარებს, სავარაუდოდ, 2018 წელს“.

### **კომისიის პასუხები და მოსაზრებები**

## **1. 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირეების ლიბერალიზაცია-ოპტიმიზაციისა და აუქციონების ჩატარების ორფაზიანი პროექტისა და მისი მსვლელობის მოკლე აღწერილობა**

800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირეების ლიბერალიზაცია-ოპტიმიზაციისა და აუქციონების ჩატარების საკითხებზე პირველი საკონსულტაციო დოკუმენტი ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. 2012 წლიდან 2014 წლამდე კომისიამ არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართა ოპერატორებთან და დაინტერესებულ პირებთან, რომლის შედეგადაც დაიგეგმა 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირეების ლიბერალიზაცია-ოპტიმიზაციისა და აუქციონების ჩატარების ორფაზიანი პროექტი. პირველი ფაზა დასრულდა 2015 წლის იანვარში, რომლის ფარგლებშიც:

ა) კომისიამ, ბაზრის მონაწილეებთან კონსულტაციების შედეგად, შესაბამისი დადგენილებებით განსაზღვრა სააუქციონოდ გამოსატანი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის დადგენის მეთოდოლოგიები და გაცემული ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, 15 წლის ვადით, მოდიფიცირებისას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გადაანგარიშების ერთიანი წესი;

ბ) 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140019263) გამარჯვებულმა კომპანიამ („ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში), კომისიის მიერ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნების გათვალისწინებით, ისევე როგორც, დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობითა და არგუმენტირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ბიზნეს მოდელირებისა და

ბენჩმარკინგის მეთოდების გამოყენებით გაიანგარიშა 800 მჰც, 900მჰც, 1800 მჰც და დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონების 1 მჰც რადიოსიხშირული რესურსის ღირებულება.

დ) განხორციელდა GSM და UMTS ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი 900/1800 და დაწყვილებული 2100 მჰც სიხშირული დიაპაზონების ლიბერალიზაცია, ოპტიმიზაცია, გაცემული ლიცენზიების ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპით, 15 წლის ვადით მოდიფიცირება, 800 მჰც დიაპაზონის მობილური/უსადენო სისტემებისათვის განაწილება და 800 მჰც დიაპაზონში 2x10 მჰც სიხშირული რესურსის აუქციონის წესით გაცემა.

**პროექტის მეორე ფაზის** ფარგლებში 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში არსებული ხელმისაწვდომი **რესურსის აუქციონზე გამოტანა** დაგეგმილი იყო 2015 წლის ივლისის ბოლომდე, რაც ცნობილი იყო ოპერატორებისათვის 2014 წლის აგვისტოში, **ორფაზიანი პროექტის დაგეგმვისას**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად კომისია გეგმავდა პირველ ეტაპზე განხორციელებინა 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების სტანდარტული დანაწილების გეგმასთან თანხვედრაში მოყვანა/ოპტიმიზაცია (ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით რადიოსიხშირულ ბლოკებზე დაშვება, თავისუფალი სიხშირული რესურსის მიყოლებით ბლოკებში გაერთიანება და სტანდარტული დანაწილების გეგმის არათავსებადად გაცემული რესურსის გამოთავისუფლებისათვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა), ხოლო შემდგომ ეტაპზე პარალელურ რეჟიმში დაგეგმილი იყო როგორც 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ლიბერალიზება (ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპით ლიცენზიების მოდიფიცირება), ასევე 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებული ყველა თავისუფალი რესურსის ერთდროულად გამოტანა აუქციონზე.

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (სარეგისტრაციო კოდი 320110000.05.001.017490), რომლის თანახმადაც ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში სტანდარტული დანაწილების გეგმის თანახმად გაცემული ლიცენზიები დაექვემდებარა 15 წლის ვადითა და ტექნოლოგიური/მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპების შესაბამისად მოდიფიცირებას, ხოლო ლიცენზიების მოდიფიცირების ვადად კომისიას განესაზღვრა „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ სათანადო **ცვლილებების შეტანიდან 3 თვის ვადა**. (მოცემული ვადის განსაზღვრა პარლამენტში წარმოებულ საჯარო განხილვებზე მოითხოვეს მობილურმა ოპერატორებმა, ხოლო პარლამენტმა გაითვალისწინა და კანონში ასახა ბაზრის მონაწილეების მოთხოვნა).

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების გათვალისწინებით, მათ შორის, კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ, **2014 წლის აგვისტოში**, მიიღო გადაწყვეტილება, დაენერგა სიხშირეების ლიბერალიზაცია/ოპტიმიზაცია/გაცემის ფაზირებული მიდგომა, კერძოდ:

1. პირველ ეტაპზე პარალელურ რეჟიმში განხორციელებინა: ა) 900/1800/დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში დანაწილების სტანდარტული გეგმის თანახმად გაცემული ლიცენზიების 15 წლის ვადითა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირება და შესაბამისი ლიცენზიების მფლობელების მიყოლებით რადიოსიხშირულ ბლოკებზე დაშვება და ბ) 800 მჰც დიაპაზონში ოპტიმიზაციის გარეშე ხელმისაწვდომი 2x 10 მჰც რესურსის აუქციონზე გამოტანა;

2. მეორე ეტაპზე (2015 წლის ივლისის ბოლომდე) დაესრულებინა დიაპაზონების ოპტიმიზაცია და აუქციონზე გამოეტანა ყველა დარჩენილი, მათ შორის ლიცენზიების მფლობელების მიერ ლიცენზიების მოდიფიცირებისას გამოთავისუფლებული/დათმობილი, 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში არსებული თავისუფალი რესურსი.

ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

ა) გაცემული ლიცენზიების მოდიფიცირებასთან და რადიოსიხშირების შეცვლა/დათმობასთან დაკავშირებით კანონით განსაზღვრული ვადები არ იძლეოდა შესაძლებლობას, განხორციელებულიყო ჯერ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ოპტიმიზაცია (არასტანდარტული დანაწილებით გაცემული ლიცენზიებისაგან გამოთავისუფლება/გადაწყობა) და შემდგომ პარალელურ რეჟიმში 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში არსებულ თავისუფალ რესურსზე ერთობლივი აუქციონის გამოცხადება და გაცემული ლიცენზიების ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირება.

ბ) მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის განკუთვნილი დამატებითი სიხშირული რესურსის აუქციონზე გამოტანის გარეშე 900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში დანაწილების სტანდარტული გეგმის თანახმად გაცემული ლიცენზიების 15 წლის ვადითა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირება კიდევ უფრო გაამყარებდა მობილურ ფართოზოლოვან ბაზარზე წლების განმავლობაში არსებულ დუოპოლიას (900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ლიცენზიის მფლობელი სამი მობილური ოპერატორიდან ორი, კერძოდ, შპს „მაგთიკომი“ და შპს „ჯეოსელი“ კიდევ უფრო უპირატეს კონკურენტულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ხოლო მესამე, შპს მობიტელი მის სარგებლობაში არსებული მწირი, თუნდაც ლიბერალიზებული და მიყოლებითი სიხშირული რესურსით ვერ შეძლებდა მობილური ფართოზოლოვანი ტექნოლოგიის დანერგვას)

ვინაიდან კომისია მიიჩნევს, რომ მობილურ/უსადენო ბაზარზე კონკურენტული, გამჭვირვალე და განჭვრეტადი საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით (რაც მარეგულირებლის უმთავრესი ფუნქციაა) აუცილებელია აუქციონები ჩატარდეს წინასწარ განსაზღვრული და ბაზრის მონაწილეებისათვის წინასწარ ცნობილი გეგმითა და პირობებით, კომისიამ, მე-2 ფაზის ( 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ხელმისაწვდომ რესურსზე აუქციონების გამოცხადება) განხორციელებამდე, 2015 წლის 19 ივნისს დამატებით გამოაქვეყნა კიდევ ერთი დოკუმენტი<sup>3</sup>, რომელიც ასახავს უსადენო ფართოზოლოვანი მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ (800/900/1800/დაწყვილებულ 2100 მჰც) დიაპაზონებში აუქციონების ჩატარების (მე-2 ფაზა) მიმართ კომისიის ხედვასა და სხვა კანდიდატი დიაპაზონების (700 მჰც, 2.3 გჰც, 1,5 გჰც და ა.შ) მიმართ სამომავლო მიდგომას.

კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომისია გეგმავს 800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში არსებული თავისუფალი (მოკლევადიან პერიოდში ხელმისაწვდომი) რესურსი ერთდროულად გამოიტანოს აუქციონზე 2015 წელს, ხოლო 700 მჰც დიაპაზონში არსებული რესურსი აუქციონზე გამოიტანოს 2016 წლის ბოლომდე, სხვა ჰარმონიზებულ (მაგალითად 1,5 გჰც (SDL)) სიხშირულ რესურსთან ერთად.

კომისიის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მობილური/უსადენო მომსახურებებისათვის განკუთვნილ დიაპაზონებში თავისუფალი და (მოკლე/საშუალოვადიან პერიოდში)

<sup>3</sup> იხ. <http://gncc.ge/uploads/other/1/1347.pdf>

ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი აუქციონზე გამოვიდეს ერთდროულად, რაც საშუალებას მისცემს ბაზრის არსებულ მონაწილეებს, ისევე როგორც ახალშემომსვლელებს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), ადეკვატურად განსაზღვრონ თავისი ბიზნეს მოდელი და (ბაზარზე კონკურენციის ადეკვატური დონის შენარჩუნების მიზნით, მარეგულირებლის მიერ დადგენილი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში -ე.წ. „Spectrum Cap“) მოიპოვონ მათთვის სასურველი რესურსი. თუმცა, კომისია ასევე მიიჩნევს, რომ სიხშირული რესურსის აუქციონზე გამოტანის შემთხვევაში, კომისიას ჩატარებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი საჯარო კონსულტაციები, დადგენილი/განსაზღვრული უნდა ჰქონდეს, თუ რა კონკრეტული თარიღიდან, რომელ გეოგრაფიულ არეალში და რა ტექნიკური პარამეტრებით იქნება ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი, ისევე როგორც განსაზღვრული უნდა იყოს რადიოსიხშირული რესურსის საწყისი საფასური.

## **2. 700 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსის 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებთან ერთად აუქციონზე გამოტანის შესაძლებლობა**

საქართველოში 700 მჰც დიაპაზონის აუქციონზე გატანის საკითხი, პირველ რიგში, უკავშირდება რესურსის ხელმისაწვდომობის ვადების განსაზღვრას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია მოცემული დიაპაზონის მეზობელ ქვეყნებთან კოორდინაციის საკითხთან.

2015 წლის ივნისში კომისიის ინიციატივით, EaPeReg<sup>4</sup> -ის ფარგლებში, მინსკის პლენარულ სესიაზე ჩამოყალიბდა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი - „700 მჰც საკითხებზე“. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა სხვა ტექნიკურ და მარეგულირებელ საკითხებთან ერთად მოიცავს 694-790 მჰც ზოლში სიხშირეების მოსაზღვრე ქვეყნებთან კოორდინაციის საკითხს. დამატებით, კომისიას დაწყებული აქვს ორმხრივი მოლაპარაკებები მეზობელ (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) ქვეყნებთან 700 მჰც დიაპაზონის მობილური ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის კოორდინირებულად გამოყენების თაობაზე.

კომისია გეგმავს 700 მჰც დიაპაზონთან დაკავშირებით პირველი საკონსულტაციო დოკუმენტი გამოაქვეყნოს 2015 წლის ბოლოს, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნება:

- ა) დიაპაზონის კოორდინაციასთან დაკავშირებით მიღწეული შედეგები;
- ბ) ის დიაპაზონები/სიხშირული რესურსი, რომელიც სავარაუდოდ აუქციონზე გამოვა 700 მჰც რესურსთან ერთად;
- გ) სიხშირული რესურსის ხელმისაწვდომობის სავარაუდო თარიღი/პერიოდი;
- დ) საწყისი საფასურის დადგენის მეთოდოლოგია და საწყისი საფასურის დადგენის მიზნით განსახორციელებელი/დაგეგმილი ქმედებები;
- ე) სავარაუდო სიხშირული ზედა ზღვრული ოდენობები;
- ვ) სალიცენზიო ვალდებულებები (ტექნიკური საკითხები და დაფარვის ვალდებულებები);
- ზ) აუქციონის სავარაუდო ფორმატი;
- თ) კონსულტაციების განრიგი და აუქციონის გამოცხადების სავარაუდო თარიღი/პერიოდი.

<sup>4</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის პარტნიორი ქვეყნებისა და ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ქსელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია ვარაუდობს, რომ საუკეთესო შემთხვევაში, 700 მჰც (ისევე როგორც 1,5 გჰც (SDL)) დიაპაზონის აუქციონების გამოცხადება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2016 წლის ბოლოს.

კომისიის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ 700 მჰც დიაპაზონის 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებთან ერთად აუქციონზე გამოტანას გარკვეული დადებითი მხარეები გააჩნია, მოცემული გამოიწვევს ჯერ კიდევ 2012 წელს დაგეგმილი (800/900/1800/2100 მჰც) აუქციონების არაგონივრულად (მინიმუმ ერთი წლით) გადავადებას. კომისია მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომა უარყოფითად აისახება მობილურ ფართოზოლოვან ბაზარზე, როგორც კონკურენციის შემდგომი განვითარების, ასევე სერვის-დეფიციტური, სასოფლო ტიპის დაბა/დასახლებების მობილური ფართოზოლოვანი ქსელებით მოკლევადიან პერიოდში დაფარვისა და დანერგილი ქსელების ფარგლებში გამტარუნარიანობის შემდგომი ზრდის კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, დაგეგმილი აუქციონების ფარგლებში ჩართოს 700 მჰც დიაპაზონი და შესაბამისად არაგონივრული ვადით გადაწიოს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებული ხელმისაწვდომი რესურსის აუქციონზე გამოტანა.

✓ ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ დაგეგმილი 800/900/1800/2100 მჰც აუქციონების ფარგლებში 700 მჰც დიაპაზონის ჩართვა გამოიწვევს აუქციონების მინიმუმ ერთი წლით გადავადებას, რაც ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს მობილურ ფართოზოლოვან ბაზარზე, როგორც კონკურენციის შემდგომი განვითარების, ასევე სერვის-დეფიციტური, სასოფლო ტიპის დაბა/დასახლებების მობილური ფართოზოლოვანი ქსელებით დაფარვისა და დანერგილი ქსელების ფარგლებში გამტარუნარიანობის შემდგომი ზრდის კუთხით?

### **3. 800 მჰც ასევე 900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში არსებული თავისუფალი რესურსის აუქციონზე ცალ-ცალკე (მოთხოვნის შემთხვევაში) გატანის საკითხი**

კომისიის აზრით, მობილური მომსახურებისათვის განკუთვნილ ერთიდაიგივე და/ან მსგავსი მახასიათებლების მქონე დიაპაზონებში არსებული თავისუფალი რადიოსიხშირული რესურსის (ასევე, მოკლევადიან/საშუალო პერიოდში ხელმისაწვდომი იმ რესურსის, რომლის გამოყენების პირობებიც გარკვეულია) ნაწილ-ნაწილ ან/და დაუფეგმავად გატანა აუქციონებზე ხელოვნურად ბლოკავს ბაზარს ახალშემომსვლელებისათვის, ისევე, როგორც ხელოვნურად ქმნის სიხშირულ დეფიციტს იმ არსებული ოპერატორებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დამატებით მოიპოვონ რესურსი დანერგილი ქსელების ფარგლებში გამტარუნარიანობის/ დაფარვის დონის გაუმჯობესების და/ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ეტაპით დაგეგმილი აუქციონების ფარგლებში გათვალისწინებული არ იქნება 700 მჰც დიაპაზონი, კომისია ერთდროულად გამოაცხადებს აუქციონებს 800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში არსებულ ყველა თავისუფალ (მოკლევადიან პერიოდში ხელმისაწვდომ) რესურსზე.

✓ ეთანხმებით თუ არა კომისიის აზრს, რომ 800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში არსებულ ყველა თავისუფალ (მოკლევადიან პერიოდში ხელმისაწვდომ) რესურსზე (რომელთა გამოყენების პირობებიც დღეს გარკვეულია) აუქციონები უნდა გამოცხადდეს ერთდროულად და არა ნაწილ-ნაწილ ბაზრის მონაწილეების მიერ შესაბამისი მოთხოვნით მომართვის შემთხვევაში?

#### 4. საკონსულტაციო პერიოდი

კომისია ეთანხმება დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს, რომ კომისიამ საჯარო განხილვაზე უნდა გამოიტანოს დოკუმენტი, სადაც განხილული და განსაზღვრული იქნება აუქციონების ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, კომისიამ მოამზადა წინამდებარე დოკუმენტი სადაც განსაზღვრულია აუქციონის ჩატარების დეტალური პირობები - სიხშირული ლოტები, ე.წ. Spectrum Cap –ი, დაფარვის ვალდებულებები, ლიცენზიების საწყისი საფასური, ლიცენზიის საფასურის გადახდის პირობები, აუქციონის ფორმატი, ტექნიკური პირობები და ა.შ.)

დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ 12 სექტემბრამდე წერილობით წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტირებული შენიშვნები და მოსაზრებები

#### 5. აუციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონების ჩატარებამდე ვადა

კომისია ეთანხმება დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონის ჩატარებამდე პერიოდი მნიშვნელოვანია ოპერატორებისათვის, რათა მათ შეძლონ ადეკვატურად დაგეგმონ მომავალი განვითარების მიმართულებები, შეაფასონ აუქციონთან დაკავშირებული ყველა დეტალი, მიიღონ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება და მოიძიონ საჭირო სახსრები.

შესაბამისად, კომისია გეგმავს, აუქციონების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონების გამართვამდე განსაზღვროს ორთვიანი პერიოდი.

✓ ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ აუქციონების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან აუქციონების ჩატარებამდე განსაზღვრული ორთვიანი პერიოდი საკმარისი იქნება ოპერატორებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად?

**საკითხები**

- 800 მჰც დიაპაზონში არსებული პრობლემატური მე-6 ბლოკის (2x5მჰც რესურსის) სხვა სიხშირულ რესურსთან ერთობლივად აუქციონზე გამოტანის საკითხი, შესაბამისი ვალდებულებები და 800 მჰც დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით ბლოკებზე დაშვების საკითხი
- სილქნეტის F11 ლიცენზიის (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირების საკითხი

**დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები**

**შპს „ჯეოსელი“**

შპს „ჯეოსელი“ აზრით (წერილის კომისიაში რეგისტრაციის № შ-6/4914-15):

ა) იმისათვის, რომ ქართულ მობილურ ბაზარზე მოქმედმა ოპერატორებმა შეძლონ მომხმარებლების მხრიდან არსებული მონაცემთა გადაცემის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება, შეზღუდული რესურსი უნდა იმართოს ისე, რომ მოხდეს მისი სრული პოტენციალის გამოყენება. აღნიშნული კომისიის ფუნქციას და 800 მჰც დიაპაზონთან დაკავშირებით ზემოხსენებული გულისხმობს დარჩენილი 2 x 20 მჰც რესურსის ერთდროულად აუქციონზე გამოტანას.

ბ) მიზანშეწონილია, სიხშირეთა მრავალდიაპაზონიან აუქციონში გამოტანილ იქნეს, ასევე, 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკი. აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული რესურსის

სრული პოტენციალის ათვისება. მსოფლიოს მასშტაბით სახეზეა მონაცემთა გადაცემის ექსტრემალური ზრდა (55%-იანი ზრდა 2013 - 2014 წლის მე-4 კვარტალებს შორის). თუ საქართველოს მობილური ოპერატორებისათვის ხელმისაწვდომი არ იქნება ადეკვატური რაოდენობის სიხშირული რესურსი, ისინი ვერ შეძლებენ უზრუნველყოფის შესაბამისი გამტარუნარიანობა, რათა დააკმაყოფილონ გაზრდილი მოთხოვნა.

დამატებით, შპს „ჯეოსელმა“ 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკთან (2x5მჰც რესურსის) დაკავშირებით წარმოადგინა შემდეგი კითხვები და მოსაზრებები:

ა) შესაძლო ხელშეშლების გამოვლენის მიზნით რატომ არ მოხდა 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკის ტესტირება? აპირებს თუ არა კომისია ტესტირების ჩატარებას და თუ არა - რა არის ამის მიზეზი? ჯეოსელს აქვს რიგი ექსპერტების საკონტაქტო მონაცემები, რომლებიც წარსულში დაეხმარნენ ევროპის მარეგულირებლებს სიხშირეებთან დაკავშირებულ საკითხებზე და რომელთაც შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

ბ) რა იქნება მე-6 ბლოკის აუქციონის პირობები - დაფარვის ვალდებულება, ფასი, მეორადი გამოყენების დეტალური ნორმები, გადახდის პირობები მხოლოდ მე-6 ბლოკთან დაკავშირებით და ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი 800 მჰც-ის სხვა ბლოკთან იქნება კომბინირებული. ჯეოსელი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს სიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენების აუცილებლობას და გთავაზობთ, რომ მე-6 ბლოკი, ისევე, როგორც 800 მჰც-ის სხვა ბლოკები, ერთობლივად გამოვიდეს მრავალდიაპაზონიან აუქციონზე.

გ) თუ მე-6 ბლოკი და მისი მეზობელი სიხშირული ბლოკი ხელშეშლებს შეუქმნიან ერთმანეთს, ვინ იქნება პასუხისმგებელი მაკორექტირებელ ქმედებებზე - ერთი ოპერატორი თუ ორივე? ჯეოსელს მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული ორივე ოპერატორზე.

დ) როგორ აპირებს კომისია 800 მჰც დიაპაზონში ბლოკების თანმიმდევრულობის საკითხის გადაჭრას და თანმიმდევრული ბლოკების აუქციონზე გამოტანის მიზნით განიხილავს თუ არა მობილურის სარგებლობაში არსებული 800 მჰც სიხშირული დიაპაზონის გადანაცვლების საკითხს? ჯეოსელი დარწმუნებულია, რომ მომხმარებლების მხრიდან მონაცემთა გადაცემაზე გაზრდილი მოთხოვნის (განსაკუთრებით 4G) დაკმაყოფილებისა და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ოპერატორებისათვის მნიშვნელოვანია, აუქციონის პარალელურად, მოგვარდეს ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით ბლოკებზე დაშვების საკითხი.

ე) შესაძლებელია თუ არა სილქნეტის CDMA 850 ლიცენზიის მოდიფიცირება ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პირობით?

### ევროკომისია

ევროკომისიის აზრით (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №8/4318.15): „800 მჰც დიაპაზონში არსებული 2x20მჰც რესურსის აუქციონზე ერთდროულად გამოტანა დადებით



როლს ითამაშებს როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის, ასევე, სიხშირული რესურსის გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტურად გამოყენების კუთხით.“

## კომისიის პასუხები და მოსაზრებები

### **6. 800 მჰც დიაპაზონში არსებული პრობლემატური მე-6 ბლოკის (2x5მჰც რესურსის) სხვა სიხშირულ რესურსთან ერთობლივად აუქციონზე გამოტანის საკითხი და შესაბამისი ვალდებულებები**

კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ე.წ. 850 მჰც დიაპაზონში CDMA ტექნოლოგიის უზრუნველსაყოფად გაცემულია 2x3,69 მჰც-ანი ბლოკი, რომელიც სს „სილქნეტის“ სარგებლობაშია (ლიცენზიას ვადა ეწურება 2023 წელს) და რომლის Up-link-ი მდებარეობს 800 მჰც დიაპაზონისათვის სტანდარტით განსაზღვრულ 11 მჰც-იან “Duplex Gap”-ში. შესაბამისად 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკის (816-821 და 857-862 მჰც) ფარგლებში ქსელის დანერგვამ, დიდი ალბათობით, შესაძლებელია, ხელშეშლები გამოიწვიოს სს „სილქნეტის“ CDMA 850 ქსელთან და პირიქით. დაინტერესების შემთხვევაში, კომისია მზად არის, განიხილოს მოცემული 2x5 მჰც-იანი რესურსის არასტანდარტული პირობებით (ე.წ. მეორადი გამოყენების უფლებითა და დაფარვის ვალდებულების გარეშე) აუქციონზე გამოტანის საკითხი, სადაც ლიცენზიით განსაზღვრული იქნება 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის ხელშეშლების შექმნის შემთხვევაში ამგვარი ხელშეშლების აღმოფხვრის, ხოლო 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელიდან ხელშეშლების წარმოქმნის შემთხვევაში თმენის ვალდებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიას დაგეგმილი ჰქონდა, 827.955-831.645 მჰც და 872.955-876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილ CDMA 850 ქსელთან შესაძლო ხელშეშლების გამოვლენის მიზნით, ჩატარებინა 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკის ტესტირება. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი კომპეტენტური კომპანიის მოძიების მიზნით, კომისიამ მიმართა ევროპის მარეგულირებლებს, მათ შორის - გერმანიის ელექტროენერჯის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის მარეგულირებელი ორგანოს (BnetzA) და სთხოვა გამოცდილების გაზიარება. საკითხის განსახილველად, მიმდინარე წლის ივნისში კომისიაში ვიზიტით იმყოფებოდნენ გერმანიის ელექტროენერჯის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის მარეგულირებელი ორგანოს (BnetzA) წარმომადგენლები - ელმარ ცილესი<sup>5</sup> და მისი მოადგილე, საშა ფალაჰატი.

<sup>5</sup> ელმარ ცილესი არის ერთ-ერთი იმ 5 ევროპულ ექსპერტთაგანი რომლებიც გამოვიდნენ ინიციატივით, რომ ციფრული დივიდენდი 2 (700 მჰც დიაპაზონი) ITU-ს პირველ რეგიონში პირველადი გამოყენებით მობილური სერვისებისთვის ყოფილიყო განაწილებული; ასევე მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა გერმანიაში 800 და 700 მჰც დიაპაზონების მეზობელ ქვეყნებთან კოორდინაცია და აუქციონის წესების, პირობების განსაზღვრა.

საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასების შემდგომ, განისაზღვრა ორი ოფცია:

ა) 850 მჰც დიაპაზონში CDMA ტექნოლოგიის უზრუნველსაყოფად გაცემული (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც) სიხშირეების გამოთავისუფლებამდე არ გამოგვეტანა 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკი აუქციონზე ან

ბ) 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკი 850 მჰც დიაპაზონში CDMA ტექნოლოგიის უზრუნველსაყოფად გაცემული (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც) სიხშირეების გამოთავისუფლებამდე აუქციონზე გამოგვეტანა მეორადი გამოყენების უფლებით დაფარვის ვალდებულების გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და დაინტერესებული პირების მხრიდან მოთხოვნის დადასტურების შემთხვევაში, კომისია შესაძლებლად მიიჩნევს 800 მჰც დიაპაზონში არსებული მე- 6 ბლოკი აუქციონზე გამოვიდეს, კონკრეტული (857-862 და 816-821 მჰც<sup>6</sup>) ლოტის სახით, არა-სტანდარტული პირობებით, კერძოდ:

ა) F11 ლიცენზიის ვადის გასვლამდე (23/07/2023), გაუქმებამდე და/ან F11 ლიცენზიის (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ფარგლებში დანერგილი ქსელის მომლამდე ქ. მეორადი გამოყენების უფლებით, დაფარვის ვალდებულების გარეშე;

(მეორადი გამოყენების უფლება გულისხმობს, რომ ლიცენზიით განსაზღვრული იქნება - 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის ხელშემშლელის შექმნის შემთხვევაში ამგვარი ხელშემშლელის აღმოფხვრის, ხოლო 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელიდან ხელშემშლელის წარმოქმნის შემთხვევაში თმენის ვალდებულება.)

ბ) შესაბამისი პირობის დადგომიდან (F11 ლიცენზიის ვადის გასვლა/გაუქმება) ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება 2 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 50%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე,

გ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად;

ზემოაღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით, 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკისათვის კომისია შესაძლებლად მიიჩნევს ლოტის საწყისი საფასური განსაზღვროს (კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად) ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო

<sup>6</sup> კომისია დაიწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ეროვნულ გეგმაშიშესაბამისი ცვლილებების შეტანის უზრუნველსაყოფად

ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის ღირებულების ფასდაკლება განსაზღვრული იქნება 20%-მდე.

✓ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ 800 მჰც დიაპაზონში არსებული მე- 6 ბლოკი აუქციონზე გამოვიდეს ზემოთ განსაზღვრული პირობებით ?

✓ დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, დაადასტუროთ მოთხოვნა 800 მჰც დიაპაზონში არსებული მე- 6 ბლოკის სხვა სიხშირულ რესურსთან ერთად აუქციონზე გამოტანასთან დაკავშირებით

## 7. 800 მჰც დიაპაზონში ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით ბლოკებზე დაშვების საკითხი

რაც შეეხება ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით (თანმიმდევრულ) ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფას, კომისია გეგმავს, 832-847 და 791-806 მჰც რესურსი (პირველი სამი ბლოკი) აუქციონზე გამოიტანოს სამი 2x5 მჰც-იანი ლიცენზიის სახით აბსტრაქტული სიხშირული რესურსით და აუქციონის შედეგების გათვალისწინებით უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით სიხშირულ რესურსზე დაშვება; (კერძოდ, თუ სამი „აბსტრაქტული“ ლიცენზიიდან ორ ლიცენზიაზე სარგებლობის უფლებას მოიპოვებს ერთი პირი, კომისია ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებაში განსაზღვრავს მიყოლებით 2x5 მჰც-იანი ბლოკების ფარგლებში არსებულ სიხშირულ რესურსს).

დამატებით, იმ შემთხვევაში, თუ პირი მოიპოვებს ერთი „აბსტრაქტული“ ლიცენზიითა და მე-6 ბლოკის ლიცენზიით განსაზღვრულ რადიოსიხშირულ რესურსს, აუქციონში გამარჯვებულის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის<sup>7</sup> გამოყენებით უზრუნველყოფს ამგვარი პირის მიყოლებით სიხშირულ რესურსზე დაშვებას. (კერძოდ, თუ პირი მოიპოვებს სარგებლობის უფლებას ერთ „აბსტრაქტულ“ ლიცენზიასა და მე 6- ბლოკზე, კომისია უზრუნველყოფს ამგვარი პირის 800 მჰც დიაპაზონის მე-5 და მე-6 ბლოკებზე დაშვებას).

<sup>7</sup> „კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის საფუძველზე გაცემული რადიოსიხშირული რესურსი ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე შეცვალოს „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით“ განსაზღვრული იმავე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ფარგლებში არსებული იმავე ოდენობის სხვა რადიოსიხშირული რესურსით, თუ ლიცენზიის მფლობელი დანერგული ტექნოლოგიის ცვლილებების გარეშე შეძლებს საქმიანობისა და მომსახურების მიწოდების გაგრძელებას. რადიოსიხშირული რესურსის შეცვლის გამო ლიცენზიის მფლობელის ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ხარჯის დაფარვის დასაბუთებული მოთხოვნით. ხარჯის ოდენობას, გადახდის ფორმასა და პირობებს განსაზღვრავს კომისია რადიოსიხშირული რესურსის შეცვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დაეყრდნოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტივებულ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხიდან მის მიერ შერჩეული აუდიტორული კომპანიის დასკვნას.“

✓ ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ ზემოთ განსაზღვრული მეთოდით უზრუნველყოფილი იქნება ლიცენზიის მფლობელების მიყოლებით ბლოკებზე დაშვება?

## 8. სილქნეტის F11 ლიცენზიის (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირების საკითხი

რადიოსიხშირული რესურსის მართვის კუთხით კომისიის სტრატეგიას წარმოადგენს რადიოსიხშირული რესურსის ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს - სხვადასხვა სიხშირული დიაპაზონების მიმართ ევროკავშირის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, საქართველოში უზრუნველყოს შესაბამისი დიაპაზონების ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმებითა და პარამეტრებით განაწილება, ისევე, როგორც უზრუნველყოს არასტანდარტული დანაწილების გეგმით გაცემული რესურსის ეტაპობრივად გამოთავისუფლება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47<sup>3</sup> მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს ერთიანი და არაფრაგმენტირებული რადიოსიხშირული ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც რეგიონის მასშტაბით უზრუნველყოფს ა) ერთი და იგივე სიხშირული დიაპაზონების ბ) ერთი და იგივე ტექნიკური ნორმებით გ) ერთი და იგივე მომსახურებისათვის განაწილებასა და გამოყენებას, რაც თავის მხრივ აუცილებელია იმისათვის, რომ ქვეყნებმა (განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მსგავსმა პატარა ქვეყნებმა) ადეკვატური სარგებელი მიიღონ ერთიანი სტანდარტის მქონე ქსელური და სამომხმარებლო მოწყობილობების მასშტაბით გამოწვეული ეკონომიით და სხვადასხვა ქვეყნების უსადენო ქსელების ურთიერთთავსებადობით.

შესაბამისად, ვინაიდან კომისიის მიმართულებას წარმოადგენს გამოთავისუფლოს CDMA 850 ტექნოლოგიისათვის არაევროპული სტანდარტის შესაბამისად განაწილებული და გაცემული სიხშირული რესურსი, რომელიც დღეს F11 ლიცენზიით სს „სილქნეტის“ სარგებლობაშია და რომელიც რადიოსიხშირული განაწილების გეგმის თანახმად დროებით სარგებლობაშია, კომისია არ განახორციელებს მოცემული ლიცენზიის (კერძოდ 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კომისიამ 2013 წელს F11 ლიცენზიის ვადის გაგრძელებისას გაითვალისწინა სიხშირეების ოპტიმიზაციისათვის დაგეგმილი მიმართულება, ნაწილობრივ <sup>8</sup> გაითვალისწინა ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, ლიცენზიას ვადა გაგრძელებოდა 2-3 წლით და მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიას ვადა გაუგრძელდა 10 წლის ვადით, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდისათვის ლიცენზიის მფლობელს განუსაზღვრა 10 წლიანი გრაფიკი; (შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მიერ

<sup>8</sup> 2013 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი არ აძლევდა კომისიას შესაძლებლობას, ლიცენზიის ვადა გაეგრძელებინა 10 წელზე ნაკლები ვადით.

ლიცენზიის ვადის გასვლამდე ლიცენზიაზე უარის თქმის/დათმობის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი არ არის ვალდებული დაფაროს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის მომდევნო წლებისათვის ლიცენზიით განსაზღვრული საფასური);

✓ ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ არ უნდა განხორციელდეს სილქნეტის F11 ლიცენზიის (827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით მოდიფიცირება?

## 9. აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული ლიცენზიები (ლოტები) და შესაბამისი ვალდებულებები (დაფარვის ვალდებულების გარდა)

### 9.1 აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული ლიცენზიები

კომისია გეგმავს, 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში არსებული ხელმისაწვდომი რესურსი აუქციონზე გამოიტანოს შემდეგი დამოუკიდებელი ლიცენზიების (ლოტების) სახით:

დიაპაზონი	ლიცენზია (ლოტი)	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის (ლოტის) ტიპი	ლიცენზიის შესაბამისი რესურსი		ხელმისაწვდომობის თარიღი
				Up-link	Down-link	
800 მჰც	A	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	832-847	791-806	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის დღიდან
	B	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	832-847	791-806	
	C	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	832-847	791-806	
	D	2 x 5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	857-862	816-821	
900 მჰც	E	2 x 4.5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	880-884.5	925-929.5	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის დღიდან

1800 მჰც	F	2 x 5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	1770-1775	1865-1870	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის დღიდან
2100 მჰც	G	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	ხელმისაწვდომი 2017 წლის 1 ივლისიდან <sup>9</sup>
	H	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	
	I	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	

**9.2 800 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული 3 აბსტრაქტული და ერთი კონკრეტული (857-862 და 816-821 მჰც რესურსი (მე-6 ბლოკი)) ლიცენზიის შესაბამისი სტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას)**

1) გეოგრაფიული არეალი: საქართველო

2) ლიცენზიის მოქმედების ვადა --ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი

3) სტანდარტული ტექნიკური პირობები:

ა) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მჰც.

ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა:

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აპლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მჰც-დან 862 მჰც-მდე)	-49.5 დბმ	5 მჰც

ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მჰც-დან 821 მჰც-მდე)

<sup>9</sup> DECT-დან წარმოქმნილი ხელშეშლების გამო

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მჰც

ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მჰც-დან 791 მჰც-მდე	17.4 დბმ	1 მჰც
821 მჰც-დან 832 მჰც-მდე	15 დბმ	1 მჰც

ა.ე) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მჰც-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მჰც	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
470 მჰც-დან 790 მჰც-მდე	$P \geq 59$	0 დბმ	8 მჰც
	$36 \leq P < 59$	(P-59) დბმ	8 მჰც
	$P < 36$	-23 დბმ	8 მჰც

ბ) სტანდარტული ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

4. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად (კონკრეტული (მე-6 ბლოკი) 857-862 და 816-821 მჰც რესურსის შესაბამისი) ლოტის არასტანდარტული ტექნიკური პირობა განსაზღვრულია შემდგომ)

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

გ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

დ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

### **9.3 800 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული კონკრეტული (857-862 და 816-821 მჰც რესურსი (მე-6 ბლოკი)) ლიცენზიის შესაბამისი არასტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები**

1. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრული სტანდარტული ტექნიკური პირობების შესაბამისად შემდეგი დათქმით:

ა.ა) 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის (F11 ლიცენზიის ვადის გასვლამდე (23/07/2023)/ გაუქმებამდე) ხელშეშლების შექმნის შემთხვევაში უზრუნველყოს ამგვარი ხელშეშლების აღმოფხვრა.

ბ) (F11 ლიცენზიის ვადის გასვლამდე (23/07/2023)/ გაუქმებამდე) 827.955-831.645 მჰც და 872.955-876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელიდან ხელშეშლების წარმოქმნის შემთხვევაში ითმინოს ამგვარი ხელშეშლები.

### **9.4 900 მჰც (880-884.5 და 925-929.5 მჰც) და 1800 მჰც (1770-1775 და 1865-1870 მჰც) კონკრეტული ლიცენზიების შესაბამისი სტანდარტული ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას)**

1) გეოგრაფიული არეალი: საქართველო

2) ლიცენზიის მოქმედების ვადა --ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი

3) სტანდარტული ტექნიკური პირობები:

ბლოკის შიგნით EIRP-ს (ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის (დაუნლინკი):

ტექნოლოგია	900/1800 მჰც დიაპაზონი
GSM	62 დბმ გადამტან სიხშირეზე
UMTS	65 დბმ გადამტან სიხშირეზე
LTE	65 დბმ 5 მჰც-ზე
WiMAX	65 დბმ 5 მჰც-ზე

4) ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) იხელმძღვანელოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების მიერ დადგენილი გასხივების კლასებისთვის განსაზღვრული პირობებით:



GSM-თვის:	271KG7W
UMTS-თვის:	5M00D7W
1.4 მჰც LTE-თვის:	1M40D7W
3 მჰც LTE-თვის:	3M00D7W
5 მჰც LTE-თვის:	5M00D7W
10 მჰც LTE-თვის:	10M0D7W
15 მჰც LTE-თვის:	15M0D7W
20 მჰც LTE-თვის:	20M0D7W
5 მჰც WiMAX-თვის:	5M00D7W
10 მჰც WiMAX-თვის:	10M0D7W

- ბ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად;
- გ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;
- დ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;
- ე) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

### **9.5 2100 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული 3 „აბსტრაქტული“ ლიცენზიის (1935- 1950 და 2125-2140 მჰც) შესაბამისი სტანდარტული სალიცენზიო ვალდებულებები (არ მოიცავს დაფარვის ვალდებულებას)**

- 1) გეოგრაფიული არეალი: საქართველო
- 2) ლიცენზიის მოქმედების ვადა --2017 წლის 1 ივლისიდან - 15 წელი
- 3) სტანდარტული ტექნიკური პირობები:
  - ა) FDD საბაზო სადგურებისათვის (დაუნლინკი):
    - ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 65 დბმ/5 მჰც.
    - ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე):

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები FDD დაუნლინკისათვის	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
სიხშირეები, რომლებიც დაშორებულია 10 მჰც-ზე მეტით ბლოკის ზედა ან ქვედა საზღვრისაგან	9 დბმ	5 მჰც

ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც

ბ) FDD ტერმინალური სადგურებისათვის (აფლინკი): ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 24 დბმ.

4. ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად;

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

გ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

დ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

✓ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი აუქციონზე გამოვიდეს ზემოთ განსაზღვრული ლიცენზიების სახით და შესაბამისი სალიცენზიო ვალდებულებებით?

**საკითხი****Spectrum Cap -ები****დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები****შპს „მობიტელი“**

მობიტელის მიერ წარმოდგენილ წერილში აღნიშნულია: „მიგვაჩნია, რომ 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში შპს „მობიტელის“ ე.წ. Cap-ი უნდა განისაზღვროს 5 მჰც ოდენობით. ამასთან, 900მჰც, 1800 მჰც და 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში გასამართ აუქციონებში კომპანიებს „მაგთიკომსა“ და „ჯეოსელს“ უნდა შეეზღუდოთ მონაწილეობის მიღება, აღნიშნულ სიხშირულ დიაპაზონებში მათ მიერ სიხშირეთა ჭარბი რაოდენობის ფლობის გამო“.

**შპს „ჯეოსელი“**

„კომისიის დოკუმენტში არ იყო ნახსენები ე.წ. Spectrum Cap-ის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერატორებს ჰქონდათ შესაძლებლობა 900, 1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში შეენარჩუნებინათ სიხშირული რესურსი, იგივე არ ითქმის 700 და 800 მჰც დიაპაზონებზე. ჯეოსელი გთავაზობთ, დადგინდეს Spectrum Cap-ი 2x10 მჰც-ის ოდენობით, როგორც 700 მჰც, ასევე 800 მჰც დიაპაზონებში. აღნიშნული იყო ნორმა ევროპის ბევრ ქვეყანაში ჩატარებულ აუქციონებზე, მაგ: შვედეთი, ნორვეგია, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა.“

**კომისიის პასუხები და მოსაზრებები****10. აუქციონის ფარგლებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობები (ე.წ. Spectrum Cap-ები)****10.1 მობილური/უსადენო სისტემებისათვის ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზებული /კანდიდატი რადიოსიხშირული დიაპაზონები, საქართველოში არსებული სიტუაცია და დაგეგმილი მიმართულებები**

ევროკავშირის მასშტაბით უსადენო/ მობილური	სტანდარტულად ხელმისაწვდომი რესურსი	საქართველოში არსებული სიტუაცია	საქართველოში ხელმისაწვდომი რესურსი	შენიშვნა

საკომუნიკაციო სისტემებისათვის ჰარმონიზებული დიაპაზონები				
800 მჰც	2X30	ჰარმონიზებული	2X30	ბოლო მე-6 ბლოკი (850 მჰც დიაპაზონში CDMA ლიცენზიის გაუქმებამდე) მეორადი გამოყენების უფლებით
900 მჰც	2X35	ჰარმონიზებული	2X35	
1800 მჰც	2X75	ჰარმონიზებული	2X75	
დაწყვილებული 2100 მჰც	2X60	ჰარმონიზებული	2X45	2X15 (1965-1980 მჰც და 2155-2170 მჰც დროებით ხელმისაწვდომი არ არის) (1894.375-1899.375 და 1974.375-1979.375 მჰც - CDMA დროებით სარგებლობაში )
2.6 გჰც	FDD -2x70MHz TDD -50 MHz	არ არის ჰარმონიზებული (განაწილებულია წერტილი-მრავალწერტილი მომსახურებისათვის, დანერგილია MMDS სისტემები )		სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება უსადენო - ფართოზოლოვანი სისტემებისათვის 4 წელიწადში
3.4-3.8 გჰც	TDD- 400MHz (პრიორიტეტული) ან FDD- 2x80MHz და TDD-200MHz	3.4 -3.6 გჰც დიაპაზონი განაწილებული და გაცემულია FDD დანაწილებით, წერტილი-მრავალწერტილი უსადენო-ფართოზოლოვანი მომსახურების უზრუნველსაყოფად		ნაწილობრივ დანერგილია ფიქსირებული Wimax ტექნოლოგიები. კომისია გეგმავს მოცემული დიაპაზონი ჰარმონიზებული ნორმებითა და “ელექტრონული კომუნიკაციების” შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით (TDD დანაწილების სქემით) გაანაწილოს უსადენო ფართოზოლოვანი სისტემებისათვის <sup>10</sup>
		3.6-3.8 განაწილებული და გაცემულია		საშუალოვადიან პერიოდში (3 წელი)

<sup>10</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მასშტაბით 3.4-3.6 გჰც დიაპაზონი უკვე წლებია ხელმისაწვდომია მობილური ფართოზოლოვანი სისტემებისათვის, ევროპაში არ არის დანერგილი არც ერთი FDD LTE ქსელი და შესაბამისად ევროპულ ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი FDD სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობები, GSA -ს ინიციატივით მხოლოდ სამ ევროპულ ქვეყანაში (ბელგია, ესპანეთი და იტალია) ფუნქციონირებს 3.4-3.6 გჰც დიაპაზონში TDD LTE ქსელი

		რადიო-სარელეო ხაზებისათვის		კომისია არ გეგმავს მოცემული დიაპაზონი ხელმისაწვდომი გახადოს უსადენო - ფართოზოლოვანი სისტემებისათვის
1452-1492 მჰც	SDL- 40 მჰც	განაწილებულია რადიო-სარელეო ხაზებისათვის. (სიხშირეები გაცემული არ არის)		კომისია გეგმავს, მოცემული რესურსი უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი გახადოს უსადენო - ფართოზოლოვანი სისტემებისათვის (დამატებითი Down-link-ი)
<b>კანდიდატი დიაპაზონები</b>	<b>სტანდარტულად ხელმისაწვდომი რესურსი</b>	<b>საქართველოში არსებული სიტუაცია</b>	<b>საქართველოში ხელმისაწვდომი რესურსი</b>	<b>შენიშვნა</b>
700 მჰც	FDD- 2x30მჰც SDL- 20 მჰც	700 მჰც დიაპაზონი დროებით განაწილებულია ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისათვის ,რომელიც გამოთავისუფლდება "სიმულკასტის" პერიოდის გასვლის შემდგომ		კომისია გეგმავს, მოცემული რესურსი ხელმისაწვდომი გახადოს უსადენო - ფართოზოლოვანი სისტემებისათვის
2.3-2.4 გჰც <sup>11</sup>	100 მჰც	განაწილებული და გაცემულია წერტილი-მრავალწერტილი მომსახურებისათვის		კომისია გეგმავს მოცემული დიაპაზონი ჰარმონიზებული ნორმებითა და "ელექტრინული კომუნიკაციების" შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით

<sup>11</sup> ITU-ს რადიო რეგულაციების მიხედვით 2300-2400 მჰც დიაპაზონი (ITU-ს სამივე რეგიონისათვის, მათ შორის, პირველი რეგიონისათვის, რომელსაც მიეკუთვნება საქართველო და ევროპა) ე.წ. co-primary (სხვა მომსახურებებთან ერთობლივად პირველადი გამოყენების) საფუძველზე უკვე წლებია განაწილებულია IMT (International Mobile Telecommunications) მომსახურებისათვის. GSA –ს ინფორმაციით, 2.3 გჰც დიაპაზონში ევროკავშირის მასშტაბით არ არის დანერგილი არც ერთი LTE ქსელი ([http://www.gsacom.com/downloads/pdf/Snapshot\\_LTE-TDD\\_extract\\_GSA\\_Evolution\\_to\\_LTE\\_report\\_210715.php4](http://www.gsacom.com/downloads/pdf/Snapshot_LTE-TDD_extract_GSA_Evolution_to_LTE_report_210715.php4))

ევროკავშირის ფარგლებში 2300-2400 მჰც დიაპაზონის ჰარმონიზაციის მიზნით, ევროკომისიამ CEPT-ს გადასცა მანდატი 2.3 გჰც დიაპაზონში უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური პირობების შემუშავების მოთხოვნით. CEPT -მა ევროკომისიას წარუდგინა ანგარიშები №55 და №58, ხოლო CEPT -ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტმა (ECC) 2014 წლის 27 ივნისს მიიღო ECC/DEC/(14)02 გადაწყვეტილება „2300-2400 მჰც სიხშირული რესურსის მობილური/ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებისათვის (MFCN) გამოყენების ჰარმონიზებული ტექნიკური და მარეგულირებელი პირობების შესახებ“. ევროკომისიაში ამჟამად მიმდინარეობს საჯარო კონსულტაციები ზემოხსენებულ საკითხზე და როგორც ჩვენთვის ცნობილია, უახლოეს მომავალში ევროკომისია გამოსცემს გადაწყვეტილებას 2.3 გჰც დიაპაზონის უსადენო-ფართოზოლოვანი სისტემებისათვის ჰარმონიზაციის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დიაპაზონი (800მჰც/900მჰც/1800მჰც/2100მჰც/2600მჰც/1.5გჰც/3.4-3.8გჰც) ჰარმონიზებულია ევროპის ფარგლებში და შემუშავებულია მობილური ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვისათვის საჭირო შესაბამისი სტანდარტები, პრაქტიკაში მათი სხვადასხვა მობილური ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებისათვის (UMTS/LTE/Mobile Wimax) გამოყენება დამოკიდებულია ამა თუ იმ სიხშირეზე მომუშავე როგორც ქსელური მოწყობილობების, ასევე - სამომხმარებლო ტერმინალების ბაზარზე ხელმისაწვდომობის საკითხზე.

თუ შესაბამისი სტანდარტების არსებობის შემთხვევაში ქსელური მოწყობილობების საკითხი შედარებით იოლად მოგვარებადია, უმთავრეს მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა ტექნოლოგიებსა და სიხშირეზე მომუშავე სამომხმარებლო (განსაკუთრებით მობილური) ტერმინალების კომერციულად წარმოება/გაყიდვის საკითხი, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მობილური მოწყობილობის ფასსა და მრავალფეროვანი არჩევანის არსებობას, რაც მობილური ოპერატორის წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, სხვადასხვა სიხშირეებზე მომუშავე მობილური მოწყობილობების მასიური წარმოება, თავის მხრივ, დაკავშირებულია არა მარტო რეგიონის მასშტაბით სიხშირული რესურსის ჰარმონიზაციაზე<sup>12</sup>, არამედ, ასევე, ოპერატორების ფართომასშტაბიან გადაწყვეტილებაზე კონკრეტული (ჰარმონიზებული) დიაპაზონი გამოიყენონ შესაბამისი ტექნოლოგიისათვის, მაგალითად როგორც მოხდა LTE 1800-ის შემთხვევაში. ამიტომ პატარა ქვეყნის ოპერატორების მიერ ახალ (ჰარმონიზებულ) სიხშირეზე (მაგ. 800/2.6/3.4-3.8) ახალი ტექნოლოგიის ან/და ძველ (მაგ 9000/1800/2100) სიხშირეზე ახალი ტექნოლოგიის დანერგვის გადაწყვეტილება მჭიდროდ უკავშირდება ზემოხსენებულ ტერმინალების ხელმისაწვდომობის საკითხსა და შესაბამისად, სხვა ქვეყნებში ქსელების დანერგვის კუთხით განვითარებულ მოვლენებს.

## 10.2 ტექნოლოგიების/სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობებისა და რადიოსიხშირული რესურსის მოხმარების კუთხით არსებული სიტუაცია და მომავალი ტენდენციები

დღეს, მობილური ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, მსოფლიო გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, როცა სხვადასხვა 2G/3G/4G ტექნოლოგიები წარმატებით თანაარსებობს და სადაც 2G/3G მომსახურება (მსოფლიო მასშტაბით დანერგილი ქსელებისა და აბონენტების

<sup>12</sup> როგორც წესი, სიხშირული დიაპაზონის რეგიონის მასშტაბით ჰარმონიზაციიდან 1-3 წლის განმავლობაში ბაზარზე ხელმისაწვდომი ხდება შესაბამის სიხშირეზე მორგებული სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობები


მიხედვით) ჯერ კიდევ მოთხოვნად მომსახურებად რჩება. შესაბამისად, ახალი თაობის მობილურ ფართოზოლოვან ტექნოლოგიებზე (LTE) სრული მიგრაცია ათწლიან<sup>13</sup> პერიოდში ეტაპობრივად განხორციელდება, რაც გარდამავალ პერიოდში გულისხმობს არსებული მობილური (GSM/UMTS) ტექნოლოგიების შენარჩუნების პარალელურად ახალი თაობის (LTE) უსადენო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველყოფას. LTE ტექნოლოგიაზე სრული მიგრაცია კი თავის მხრივ დამოკიდებულია VoLTE შესაძლებლობის მქონე LTE ქსელებით ქვეყნების დაფარვის ადეკვატური დონის უზრუნველყოფასთან და VoLTE მხარდაჭერის მქონე „სმარტფონების“ პენეტრაციის ზრდასთან, რაც საშუალებას მისცემს ოპერატორებს 2G/3G ქსელებით მიწოდებული ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურება ჩაანაცვლონ LTE მომსახურებით.

GSA-ი (Global Mobile Suppliers Association) თავის კვლევებში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსოფლიო მობილურ ისტორიაში LTE წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად მობილურ ტექნოლოგიას. GSA-ს 2015 წლის ივლისის მონაცემებით:

- მსოფლიო მასშტაბით დანერგილია 422 LTE ქსელი, რომელსაც 635 მილიონი მომხმარებელი ჰყავს;
- კომერციულად ხელმისაწვდომი 422 LTE ქსელიდან 187 ქსელი FDD 1800 მჰც, 100 ქსელი - FDD 2600 მჰც, ხოლო 91 ქსელი - FDD 800 მჰც დიაპაზონს იყენებს. მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით GSA აცხადებს, რომ ლიბერალიზებული 1800 მჰც დიაპაზონი დღეს ისევ მოწინავე LTE დიაპაზონს წარმოადგენს;
- ევროპის ფარგლებში LTE ქსელები ძირითადად ფუნქციონირებს 800მჰც, 1800 მჰც და 2, 6 გჰც დიაპაზონებში. დამატებით: ა) 3.4-3.6 გჰც დიაპაზონში სამ ევროპულ ქვეყანაში (ბელგია, ესპანეთი და იტალია) ფუნქციონირებს TDD LTE ქსელი; ბ) პოლონეთში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და ესტონეთში 2100 მჰც დიაპაზონში დანერგილია FDD LTE ქსელები, გ) ხოლო LTE 900 ქსელები ფუნქციონირებს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლიხტენშტეინში, ნიდერლანდებში, სლოვენიასა და შვედეთში;
- LTE-Advanced ქსელების დანერგვა მსოფლიო მასშტაბით ძირითად ტენდენციას წარმოადგენს; ადეკვატური გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად ოპერატორები ახორციელებენ სხვადასხვა დიაპაზონებში ხელმისაწვდომი რესურსის აგრეგაციას. ზოგიერთ მათგანს გააჩნია მე-6 კატეგორიის სამომხმარებლო მოწყობილობების მხარდაჭერა (თეორიული პიკური დაუნლინკ სიჩქარე 300 მგბ/წმ, როცა ქსელის ფარგლებში აგრეგირებულია 40 მჰც დაწყვილებული რესურსი)
- 45 ქვეყანაში 88 ოპერატორს ექსპლუატაციაში აქვს გაშვებული LTE-Advanced ქსელი.
- 16 ქვეყანაში (კანადა, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ჰონგკონგი, ინდონეზია, იტალია, იაპონია, კუვეიტი, ლიხტენშტეინი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, შვეიცარია, ტაივანი და აშშ) 25 ოპერატორი უკვე ახორციელებს HD VoLTE მომსახურების კომერციულად მიწოდებას. 49 ქვეყანაში 103 ოპერატორი VoLTE-ის დანერგვა-ტესტირების პროცესშია.


<sup>13</sup> სავარაუდოდ 3-10 წელი, კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე

**3GPP (LTE Advanced და მე-5 თაობის ქსელების შესაბამისი სტანდარტები)**



წყარო: 3GPP

**მსოფლიო მასშტაბით დანერგილი FDD LTE ქსელების ფარგლებში გამოყენებული სიხშირული დიაპაზონები**



წყარო: GSA




მსოფლიო მასშტაბით დანერგილი TDD LTE ქსელების ფარგლებში გამოყენებული სიხშირული დიაპაზონები

3GPP band	Frequency	Number of networks
40	2.3 GHz	25
38	2.6 GHz	13
41	2.6 GHz	13
42	3.5 GHz	11
39	1.9 GHz	1


- 2011 წლიდან 2015 წლამდე სხვადასხვა სიხშირეებზე მორგებული (სხვადასხვა ქვეყნებისათვის/რეგიონებისათვის წარმოებული) (FDD/TDD) LTE ტერმინალური მოწყობილობების (ჩიპსეტები, USB მოდემები, სმარტფონები, როუტერები) რაოდენობა 63-დან 3253-მდე გაიზარდა
- სხვადასხვა სიხშირეებზე მორგებულმა (სხვადასხვა ქვეყნებისათვის/რეგიონებისათვის წარმოებულმა) LTE სმარტფონების რაოდენობამ 1783-ს მიაღწია, საიდანაც მხოლოდ 198 სმარტფონს (Apple, Asus, Fujitsu, HTC, Huawei, LG, Motorola, Pantech, Samsung, Sharp, Sony და სხვა) გააჩნია VoLTE-ის მხარდაჭერა
- მსოფლიოში ხელმისაწვდომი 3253 სამომხმარებლო LTE მოწყობილობიდან 1132 მოწყობილობას გააჩნია მე-4 კატეგორიის (მაქსიმუმ 150 მგბ/წმ downlink სიჩქარის მიღების შესაძლებლობა), ხოლო 108-ს მე-6 კატეგორიის მხარდაჭერა (სიჩქარე მაქსიმუმ 151- 300 მგბ/წმ)

მსოფლიო მასშტაბით ხელმისაწვდომი სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობები კატეგორიების მიხედვით



წყარო: GSA-ივლისი 2015

2011-2015 წლებში მსოფლიო მასშტაბით ხელმისაწვდომი სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობები



წყარო: GSA-ივლისი 2015

მსოფლიო ბაზარზე მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომი FDD/TDD LTE სამომხმარებლო ტერმინალები (USB მოდელები, სმარტფონები, როუტერები, ტაბლეტები და ა.შ) სიხშირული დიაპაზონების მიხედვით

LTE FDD	
1800 MHz band 3	1,543 devices
2600 MHz band 7	1,381 devices
2100 MHz band 1	1,185 devices
800 MHz band 20	812 devices
AWS band 4	727 devices
800/1800/2600 tri-band	739 devices
850 MHz band 5	684 devices
900 MHz band 8	668 devices
700 MHz bands 12 or 17	650 devices
1900 MHz band 2	535 devices
700 MHz band 13	457 devices
1900 MHz band 25	194 devices
APT700 band 28	139 devices
700 MHz band 12	106 devices

LTE TDD	
2300 MHz band 40	869 devices
2600 MHz band 38	752 devices
1900 MHz band 39	630 devices
2600 MHz band 41	625 devices
3500 MHz band 42/43	32 devices

შენიშვნა: ზოგიერთი სამომხმარებლო მოწყობილობა შემუშავებულია კონკრეტული ოპერატორისათვის/ქვეყნისთვის ან რეგიონისათვის და შესაბამისად არ არის ხელმისაწვდომი ყველა გეოგრაფიულ ბაზარზე.

წყარო: GSA-ივლისი 2015

მსოფლიო მასშტაბით, ისევე, როგორც საქართველოში, მომხმარებლების მხრიდან იზრდება სწრაფ ინტერნეტ მომსახურებაზე დაშვების, ფართოზოლოვან (მონაცემთა სწრაფი გადაცემის შესაძლებლობის მქონე) ქსელებში მუდმივად "ჩართულობისა" და მობილურობის მოთხოვნა, რაც ასახვას პოულობს საშუალო აბონენტის მიერ მოხმარებული ტრაფიკის ზრდის მაჩვენებელზე.


Cisco-ს (Cisco Visual Networking Index: Global Mobile Data Traffic Forecast Update 2014–2019 White Paper) მონაცემებით 2014 წელს:

- მსოფლიოში მობილურ მონაცემთა ტრაფიკი 2013 წელთან შედარებით 64%-ით გაიზარდა და თვეში 2,5 ექსაბაიტს მიაღწია;
- მობილურ ქსელებში ჩართული ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობამ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობას გადააჭარბა;
- მობილურმა ვიდეო ტრაფიკმა მთელი ტრაფიკის 55% შეადგინა;
- მსოფლიო მასშტაბით მობილური ქსელების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების სიჩქარის საშუალო მაჩვენებელი 20 %-ით (1,7 მგბ/წმ-მდე) გაიზარდა;
- მე-4 თაობის ქსელებში ჩართულმა ტერმინალებმა 2G/ 3G -სთან შედარებით ათჯერ მეტი ტრაფიკი დააგენერირა;
- სმარტფონების პენეტრაცია 2013 წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა და სმარტფონებით გენერირებულმა საშუალო ტრაფიკმა თვეში 819 მეგაბაიტს მიაღწია;
- სმარტფონების რაოდენობამ მობილური სატელეფონო მოწყობილობების 29% შეადგინა;
- მსოფლიო მასშტაბით მობილურ ქსელებში ჩართული „ტაბლეტების“ რაოდენობამ 74 მილიონს, ხოლო „ლეპტოპების“ რაოდენობამ 189 მილიონს მიაღწია.

#### მსოფლიო მასშტაბით მობილურ ქსელებით გენერირებული მონაცემთა ტრაფიკი (თვე)



მსოფლიო მასშტაბით მობილურ ქსელებში ჩართული ტერმინალური მოწყობილობები კატეგორიების მიხედვით (2014-2019)




Figures in parentheses refer to 2014, 2019 device share.  
Source: Cisco VNI Mobile, 2015

Cisco-ს გათვლებით 2019 წელს:

- მსოფლიოში მობილურ მონაცემთა ტრაფიკი თვეში 24.3 ექსაბიტს მიაღწევს;
- მობილურ ქსელებში ჩართული ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობა 11.5 მილიარდს მიაღწევს (M2M მოდულების ჩათვლით);
- მობილური ქსელებით მიწოდებული მომსახურების სიჩქარის საშუალო მაჩვენებელი 4 მგბ/წმ-მდე გაიზრდება;
- მსოფლიო მასშტაბით მობილურ ქსელებში ჩართული ტერმინალებიდან „სმარტ“ მოწყობილობების რაოდენობა 54%-ს მიაღწევს;
- მობილური ვიდეო ტრაფიკი 2014 წელთან შედარებით 13-ჯერ გაიზრდება და მსოფლიო მობილური ტრაფიკის 72 %-ს დააგენერირებს;

საქართველოში მობილური (GSM/UMTS) ქსელებით გენერირებული ინტერნეტ ტრაფიკი (ტერაბაიტი/წელი) 2010-2014 წლები



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მობილურ ბაზარზე ოპერატორების შემოსავლების უდიდეს ნაწილს ისევ ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს, მსოფლიო მობილურ ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების მსგავსად, საქართველოშიც, ბოლო წლების განმავლობაში, საგრძნობლად გაიზარდა მობილურ ინტერნეტ მომსახურებაზე მოთხოვნა, მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა და აბონენტების მიერ მოხმარებული მობილურ მონაცემთა ტრაფიკი.

საქართველოში მობილური ინტერნეტ ტრაფიკი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს მობილურ მონაცემთა გადაცემის ტრაფიკმა 4 765 ტერაბაიტი შეადგინა, რომელიც 2013 წელთან შედარებით 214%-ით გაიზარდა. რაც შეეხება 2015 წელს, 5 თვის მონაცემებით GSM/UMTS/LTE<sup>14</sup> მობილური ქსელების ფარგლებში გენერირებულმა ინტერნეტ ტრაფიკმა 4 277 ტერაბაიტი შეადგინა, რაც 2014 წლის ჯამური მონაცემის 90%-ია.

მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე მზარდმა მოთხოვნამ მსოფლიოს მასშტაბით დღის წესრიგში დააყენა რადიოსიხშირული რესურსის მართვისა და განაწილების მიმართ სტრატეგიული, მომავალ პერიოდზე ორიენტირებული და მოქნილი მიდგომის შემუშავების აუცილებლობა.

მოცემულ ტენდენციასთან გამკლავების მიზნით, მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სიხშირეების განაწილების გეგმის რეალობასთან მოსარგებად, რათა ადეკვატური რაოდენობის სიხშირული რესურსი გახადონ ხელმისაწვდომი მობილური/უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის და შესაბამისად უზრუნველყონ შეზღუდული სიხშირული რესურსის ეფექტურად და ბაზრის მოთხოვნების სათანადოდ გამოყენება. აღნიშნული დილემის დასარეგულირებლად ევროპარლამანტმა გამოსცა (No 243/2012/EU)<sup>15</sup> გადაწყვეტილება რადიოსიხშირეების პოლიტიკის მრავალწლიანი პროგრამის ჩამოყალიბების შესახებ, სადაც გაწერილია ის ძირითადი ნაბიჯები, რომელიც ქვეყნებმა უნდა გადადგან უსადენო/მობილური ფართოზოლოვანი ქსელებისა და ქსელების ფარგლებში გამტარუნარიანობის შემდგომი ზრდის ხელშეწყობის, სერვის დეფიციტური რეგიონების ფართოზოლოვანი მომსახურებით დაფარვისა და „Digital Agenda for Europe 2020“-ით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავარ მიმართულებას წარმოადგენს 2015 წლის ბოლომდე ჯამში მინიმუმ 1200<sup>16</sup> მჰც რესურსის განაწილება მობილური/უსადენო მომსახურებისათვის (არსებული და ახალი რესურსის ჩათვლით) საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებამ (ITU) ჯერ კიდევ 2006 წელს განსაზღვრა, რომ 2020 წლისათვის კომერციულ მობილურ ბაზარს ადეკვატური გამტარუნარიანობის მქონე (IMT-2000) და IMT-advanced (ანუ 3G და 4G მობილური) სისტემების დასანერგად დასჭირდებათ 1 280-მჰც-დან 1 720 მჰც-მდე<sup>17</sup> სიხშირული რესურსი.

<sup>14</sup> არ ითვალისწინებს 2.3 გჰც დიაპაზონში უსადენო TDD LTE ქსელის ფარგლებში გენერირებულ ტრაფიკს (სს „სილქნეტი“)

<sup>15</sup> <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32012D0243:EN:NOT>

<sup>16</sup> როდესაც ევროკავშირის ფარგლებში დასრულდება 700 და 2.3 გჰც დიაპაზონების ჰარმონიზაცია, ჯამში 1200მჰც რესურსი იქნება ხელმისაწვდომი უსადენო/ფართოზოლოვანი მომსახურებისათვის

<sup>17</sup> ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, აღნიშნული რაოდენობის სიხშირული რესურსი არ იყოს საჭირო (მაგ. საქართველოს და იაპონიას სხვადასხვა რაოდენობის სიხშირული რესურსი სჭირდება, იმისათვის რომ ქვეყანაში ფუნქციონირებდეს კონკურენტული (3-4) მაღალი სიმძლავრის ფართოზოლოვანი მობილური ქსელები

ზემოხსენებული კი განპირობებულია იმით, რომ LTE advance სტანდარტით აგებული ქსელების ფარგლებში ადეკვატური გამტარუნარიანობის (downlink სიჩქარის) მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქსელის ფუნქციონირებისათვის გამოყენებული იქნება შესაბამისი რაოდენობის სიხშირული რესურსი.

აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ მობილური მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორებისათვის, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს ქსელურ ინფრასტრუქტურაში (და შესაბამისი რაოდენობისა და „ხარისხის“ სიხშირულ რესურსში) ეტაპობრივად დამატებითი ინვესტიციების განხორციელება, რათა დანერგონ მონაცემთა სწრაფი გადაცემის შესაძლებლობის მქონე ქსელები (დანერგილი ქსელების ფარგლებში უზრუნველყონ გამტარუნარიანობის შემდგომი ზრდა) და დააკმაყოფილონ მომხმარებლების მხრიდან მონაცემთა გადაცემის კუთხით არსებული და მომავალში პროგნოზირებული გაზრდილი მოთხოვნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ LTE advance სტანდარტით უკვე შესაძლებელია ერთი და იგივე და სხვადასხვა TDD და FDD დიაპაზონებში არსებული მიყოლებითი და არამიყოლებითი სიხშირეების აგრეგაცია, მობილური LTE ოპერატორებისათვის როგორც ხარჯების, ასევე ტექნიკური კუთხით ეფექტიან მიდგომას წარმოადგენს არაფრაგმენტირებული, მიყოლებითი სიხშირეების გამოყენებით ქსელების აგება.

შესაბამისად, ვინაიდან ბევრ სხვადასხვა (3-6) ჰარმონიზებულ დიაპაზონში არსებული დანაწევრებული რესურსით (სხვადასხვა დიაპაზონებში არსებული სიხშირეების აგრეგაციით) ქსელის აგება უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ტექნიკურად ნაკლებად ეფექტურია, ოპერატორებისათვის ოპტიმალურ მიდგომას წარმოადგენს ორდიაპაზონიანი (მაქსიმუმ სამდიაპაზონიანი) LTE ქსელის აგება, (სადაც დაფარვის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნება დაბალსიხშირულ (1 გჰც-ს ქვემოთ), ხოლო გამტარუნარიანობისათვის მაღალსიხშირულ (1 გჰც-ს ზემოთ) დიაპაზონში არსებული ადეკვატური რაოდენობის მიყოლებითი სიხშირული რესურსი).


### **10.3 საქართველოში მობილურ ბაზარზე არსებული სიტუაცია**

დღეს საქართველოში 4 მობილური ოპერატორი (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“, შპს „მობიტელი“ და სს „სილქნეტი“) ფუნქციონირებს, რომლებიც სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და სიხშირული რესურსის გამოყენებით ახორციელებენ როგორც ხმოვანი, ასევე მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას.

სამი მობილური ოპერატორი (შპს „მაგთიკომი“ და შპს „ჯეოსელი“ – მათ სარგებლობაში არსებული 1800 მჰც დიაპაზონის გამოყენებით და შპს „მობიტელი“ ახალი, 800 მჰც დიაპაზონის

გამოყენებით), უკვე LTE ტექნოლოგიით ახორციელებს მობილური მომსახურების მიწოდებას; მოსახლეობის რიცხოვნობის ახალ მონაცემებზე (3 729 500) დაყრდნობით, 2015 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მობილური აბონენტების სიმკვრივემ 154,6%, ხოლო მხოლოდ GSM/UMTS/LTE<sup>18</sup> მობილური აბონენტების პენეტრაციამ 153,8 % შეადგინა. რაც შეეხება მობილური LTE მომხმარებლების რაოდენობას, ბოლო მონაცემებით აღნიშნულმა 221 275-ი შეადგინა (პენეტრაცია 5,9%).


მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აქტიური აბონენტების მიხედვით (2015 წლის I კვარტალი)



ოპერატორი	ტექნოლოგია	სიხშირული დიაპაზონი	სულ აბონენტი
მაგთიკომი	GSM/UMTS/LTE	900/1800/2100 მჰც	2,219,937
ჯეოსელი	GSM/UMTS/LTE	900/1800/2100 მჰც	2,044,248
მობიტელი	GSM/LTE	800/900/1800 მჰც	1,470,888
სილქნეტი	CDMA	850 მჰც	30,093
ჯამი			5,765,166

<sup>18</sup>დამატებით სს“ სილქნეტი“ 2.3 გჰც დიაპაზონის გამოყენებით აბონენტებს სთავაზობს უსადენო (არა მობილურ) LTE მომსახურებას. მოცემული მონაცემები არ ითვალისწინებს სს“ სილქნეტის“ უსადენო LTE აბონენტებს.

ჰარმონიზებულ 800/900/1800 /დაწყვილებულ 2100 მჰც და 850 დიაპაზონში  
 მობილური ოპერატორების სარგებლობაში არსებული და აუქციონის ფარგლებში  
 ხელმისაწვდომი რესურსი



**10.4** გწ. Spectrum Cap-ი და პოტენციური შედეგები

კომისიას მიაჩნია, რომ რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ:

- ა) ტექნოლოგიების განვითარების, სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობების ხელმისაწვდომობის და სიხშირეების მოხმარების კუთხით მობილურ ბაზარზე არსებული სიტუაცია და მომავალი ტენდენციები;
- ბ) საქართველოში ხელმისაწვდომი ის ჰარმონიზებული დიაპაზონები, რომლებიც ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპების გათვალისწინებით, განაწილებულია უსადენო სისტემებისათვის და რომლებიც კონკურენტული მობილური ფართოზღოვანი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას იძლევა;
- ბ) ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონებში აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის ოდენობა, კერძოდ, აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი, ის თავისუფალი რესურსი, რომლის აუქციონზე გამოტანაც შესაძლებელია აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის და ლიცენზიის მფლობელების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი;
- გ) საქართველოს მობილურ ბაზარზე არსებული სიტუაცია და კონკურენტის ის მისაღები დონე, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მობილურ ბაზარზე რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენით;



ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონებიდან (800/900/1800/2100/1.5/2.6/3.4-3.8) საქართველოში დღეს ჰარმონიზებულია მხოლოდ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონები.

დიაპაზონი	ჰარმონიზებულ დიაპაზონში სტანდარტულად ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)		ჰარმონიზებულ დიაპაზონებში საქართველოში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც) - აუქციონების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსისა და ოპერატორების სარგებლობაში არსებული რესურსის ჩათვლით	
800მჰც	60	2 x30	60	2 x 30
900 მჰც	70	2 x35	70	2 x35
1800 მჰც	150	2 x75	150	2 x75
დაწყვილებული 2100 მჰც	120	2 x60	90	2 x45
სულ რესურსი	400	2x200	370	2x 185

შენიშვნა: კომისია არ ითვალისწინებს 2100 მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებულ იმ რადიოსიხშირულ რესურსს, რომელიც „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ მიხედვით დროებით სარგებლობაშია და რომლის აუქციონზე გამოტანაც ვერ განხორციელდება რადიოსიხშირული დიაპაზონების ოპტიმიზაციის გარეშე. ხელმისაწვდომი რესურსის ფარგლებში ჩათვლილია 900 და 1800 მჰც დიაპაზონებში არსებული ის მცირედი რესურსი, რომელიც დამოუკიდებლად გამოუყენებადია.

მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობების ფართო ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ჰარმონიზებულ 800/1800 მჰც<sup>19</sup> დიაპაზონებს LTE ტექნოლოგიის კუთხით გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ, ევროპის ფარგლებში უკვე მასიურად არის ხელმისაწვდომი LTE 900 და LTE 2100 მხარდაჭერის მქონე სამომხმარებლო მოწყობილობები და რიგ ქვეყნებში დანერგილია LTE 900/2100 ქსელები. შესაბამისად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საქართველოში ჰარმონიზებულ ყველა (800/900/1800/2100 მჰც) დიაპაზონს LTE ტექნოლოგიის დანერგვის კუთხით დღეს არსებითად მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ და შესაბამისად ურთიერთჩანაცვლებად სიხშირეებს წარმოადგენენ. რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს, 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებიდან მხოლოდ 900 მჰც და 800მჰც დიაპაზონები წარმოადგენენ დაბალსიხშირულ, 1 გჰც-ს ქვემოთ არსებულ დიაპაზონებს, რომელთაც სიგნალის გავრცელებისა და შენობა-ნაგებობებში შეღწევის კუთხით, 1800/2100 მჰც დიაპაზონებთან შედარებით უკეთესი და შესაბამისად, ურთიერთჩანაცვლებადობის კუთხით, მსგავსი ტექნიკური მახასიათებელი გააჩნია.

თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ დღეს, ტექნოლოგიების კუთხით, მობილური ბაზარი გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, სადაც 2G/3G/4G ტექნოლოგიები ერთობლივად ფუნქციონირებენ და ჩვენი გათვლებით მინიმუმ კიდევ 6-10 წლის განმავლობაში შენარჩუნდება არსებული სიტუაცია.<sup>20</sup> ბაზარზე არსებული ოპერატორების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მათ შესაძლებლობაზე, არსებული (GSM/UMTS) ქსელების შენარჩუნების პარალელურად უზრუნველყონ მე-4 თაობის ტექნოლოგიების დანერგვა. 2G/3G ტექნოლოგიები კი LTE ტექნოლოგიისგან განსხვავებით კონკრეტულ დიაპაზონებში ფუნქციონირებენ (კერძოდ GSM ტექნოლოგია - 900/1800 მჰც და UMTS ტექნოლოგია - 900/2100

<sup>19</sup> ევროპის მასშტაბით ასევე 2.6 გჰც დიაპაზონი

<sup>20</sup> მე-4 თაობის ტექნოლოგიებზე სრული მიგრაცია დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე, კერძოდ ა) VoLTE შესაძლებლობის მქონე LTE ქსელებით ქვეყნის ადეკვატურად დაფარვა და ბ) VoLTE მხარდაჭერის მქონე „სმარტფონების“ პენეტრაციის მაჩვენებელი

მპც დიაპაზონებში) და რიგ შემთხვევებში, მაგალითად, 900 მპც დიაპაზონის შემთხვევაში თითქმის მთლიანად იკავებენ დიაპაზონს.

ევროპული პრაქტიკით ე.წ. *Spectrum Cap*-ის დადგენის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს, რომლის გათვალისწინებითაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად არის ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე (რადიოსიხშირულ დიაპაზონზე) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი.

დაგეგმილი აუქციონების შემთხვევაში, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა შესაძლებელია დადგინდეს:

ა) დამოუკიდებლად, ყოველი კონკრეტული დიაპაზონისთვის ან მხოლოდ ერთი ან ორი დიაპაზონისათვის;

ბ) ყველა მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთებისათვის (რადიოსიხშირული დიაპაზონები) ერთობლივად (ე.წ. Overall Spectrum Cap)

გ) ყველა მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის (ე.წ. Overall Spectrum Cap) და 1 გპც-ს ქვემოთ არსებული მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთებისათვის.

დ) ყველა მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის (ე.წ. Overall Spectrum Cap) და რომელიმე კონკრეტული დიაპაზონისათვის დამოუკიდებლად;

ყოველ ზემოთ განსაზღვრულ ოფციას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; კომისიის მიზანია, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, აუქციონის ფარგლებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს მობილურ ბაზარზე კონკურენციის არსებული დონის შენარჩუნებას/მომავალ განვითარებას, რადიოსიხშირული რესურსის ეფექტურად გამოყენებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, დაფარვის დონის გაუმჯობესებასა და დანერგილი ქსელების ფარგლებში გამტარუნარიანობის შემდგომ ზრდას.

კომისიის აზრით, მაღალკონცენტრირებულ, ოლიგოპოლისტურ მობილურ ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის მისაღებ მინიმალურ დონეს წარმოადგენს მინიმუმ სამი ოპერატორისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა. კომისია მიიჩნევს, რომ მოცემული აუქციონის ფარგლებში უნდა განსაზღვროს ისეთი სახის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ სამ სრულფასოვან ქსელურ ოპერატორს, კონკურენტული მობილური მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს და არ

გამორიცხავს (800/900/1800/2100 მჰც) მობილურ ბაზარზე ახალი ოპერატორის შემოსვლას<sup>21</sup> (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ოფცია 1**

რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა თითოეული რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთებისათვის

დიაპაზონი	სულ ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც) (აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსისა და ოპერატორების სარგებლობაში არსებული რესურსის ჩათვლით)		აუქციონების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი	რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა (მჰც) ყოველი კონკრეტული დიაპაზონისათვის
800 მჰც	60	2 x 30	2 x 20	2 x 10
900 მჰც	70	2 x 35	2 x 4,5	2 x 10
1800 მჰც	150	2 x 75	2 x 5	2 x 25
2100 მჰც	90	2 x 45	2 x 15	2 x 15
სულ	370	2 x 185	2 x 44,5	

რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის ზემოაღნიშნული სახით დადგენის შემთხვევაში:

ა) ახალშემომსვლელი/ოპერატორი, რომელსაც არ გააჩნია 800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება, შეძლებს, მოიპოვოს აუქციონის წესით ხელმისაწვდომი ყველა რესურსი (ლიცენზია), გარდა 800 მჰც დიაპაზონში არსებული 2 x 10 მჰც რესურსისა:

დიაპაზონი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც შეძლებს ახალშემომსვლელი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც ვერ შეძლებს ახალშემომსვლელი
800 მჰც	2 x 10	2 x 10
900 მჰც	2 x 4,5	
1800 მჰც	2 x 5	
2100 მჰც	2 x 15	
სულ	2 x 34,5	2 x 10

ბ) მობიტელი ვერ შეძლებს, მოიპოვოს 800 მჰც დიაპაზონში არსებული 2 x 20მჰც რესურსი:

დიაპაზონი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც შეძლებს მობიტელი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც ვერ შეძლებს მობიტელი
800 მჰც		2 x 20
900 მჰც	2 x 4,5	
1800 მჰც	2 x 5	

<sup>21</sup> ახალშემომსვლელში იგულისხმება ყველა ის პირი, რომელიც არ ფლობს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირულ რესურსს.

2100 მჰც	2 x 15	
სულ	2 x 24,5	2 x 20


გ) მაგთიკომი და ჯეოსელი შეძლებენ მოიპოვონ მხოლოდ 800 მჰც დიაპაზონის 2 x 10 მჰც რესურსი:

დიაპაზონი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც შეძლებენ მაგთიკომი და ჯეოსელი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც ვერ შეძლებენ მაგთიკომი და ჯეოსელი
800 მჰც	2 x 10	2 x 10
900 მჰც		2 x 4,5
1800 მჰც		2 x 5
2100 მჰც		2 x 15
სულ	2 x 10	2 x 34,5


რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის ე.წ. Spectrum Cap-ის ზემოაღნიშნული სახით (ყოველი კონკრეტული დიაპაზონისათვის დამოუკიდებლად) დადგენის შემთხვევაში აუქციონების პოტენციური შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ აუქციონების ზუსტი შედეგების განჭვრეტა შეუძლებელია და შედეგები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს, განვიხილოთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტი; (შენიშვნა: ვინაიდან მაგთიკომს და ჯეოსელს უფლება ექნებათ მოიპოვონ ერთნაირი რაოდენობის (800 მჰც დიაპაზონში არსებული 2 x 10 მჰც) რესურსი შესაბამისი ვარიანტით (მაგ. ვარიანტი ბ, გ) და ვ)) განსაზღვრული შედეგი შესაძლებელია დადგეს პირიქით);


ვარიანტი ა)




ვარიანტი ბ)




ვარიანტი გ)




ვარიანტი დ)



ვარიანტი ე)



ვარიანტი ვ)



**ოფცია 2**

**რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა** ყველა მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (800/900/1800/2100 მჰც რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის (ე.წ Overall Spectrum Cap-ი) და **რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა** 800მჰც რადიოსიხშირული დიაპაზონისათვის

დიაპაზონი	სულ ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც) (აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსისა და ოპერატორების სარგებლობაში არსებული რესურსის ჩათვლით)		აუქციონების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი	რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა ე.წ Overall Spectrum Cap-ი ყველა 800/900/1800 მჰც დიაპაზონებისათვის და 800მჰც დიაპაზონებისთვის
800 მჰც	60	2 x 30	2 x 20	Overall Spectrum Cap-ი 2 x 70 მჰც
900 მჰც	70	2 x 35	2 x 4,5	
1800 მჰც	150	2 x 75	2 x 5	
2100 მჰც	90	2 x 45	2 x 15	
სულ	370	2 x 185	2 x 44,5	

**რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობების შემოაღნიშნული სახით დადგენის შემთხვევაში:**

ა) **ახალშემომსვლელი/ოპერატორი, რომელსაც არ** გააჩნია 800/900/1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება, შეძლებს, მოიპოვოს აუქციონის წესით ხელმისაწვდომი ყველა რესურსი (ლიცენზია), გარდა 800 მჰც დიაპაზონში არსებული 2 x 10 მჰც რესურსისა:

დიაპაზონი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც შეძლებს ახალშემომსვლელი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც ვერ შეძლებს ახალშემომსვლელი
800 მჰც	2 x 10	2 x 10
900 მჰც	2 x 4,5	
1800 მჰც	2 x 5	
2100 მჰც	2 x 15	
სულ	2 x 34,5	2 x 10

ბ) **მობიტელი** ვერ შეძლებს, მოიპოვოს 800 მჰც დიაპაზონში არსებული 2 x 20მჰც რესურსი:


დიაპაზონი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც შეძლებს მობიტელი	რესურსი, რომლის მოპოვებასაც ვერ შეძლებს მობიტელი
800 მჰც		2 x 20
900 მჰც	2 x 4,5	
1800 მჰც	2 x 5	
2100 მჰც	2 x 15	
სულ	2 x 24,5	2 x 20

გ) მაგთიკომი და ჯეოსელი აუქციონის წესით ხელმისაწვდომი ყველა რესურსიდან შეძლებენ მოიპოვონ მხოლოდ ორი ნებისმიერი (800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონის ფარგლებში ხელმისაწვდომი) ლიცენზია;

რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის ე.წ. Spectrum Cap-ის ზემოაღნიშნული სახით (800/900/1800/2100 მჰც რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის (ე.წ Overall Spectrum Cap-ი 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებისათვის 2 x 70 მჰც და 2 x 10 მჰც მხოლოდ 800 მჰც დიაპაზონისათვის) დადგენის შემთხვევაში აუქციონების პოტენციური შედეგები

მოცემულ შემთხვევაში, აუქციონების შედეგად შესაძლებელია მივიღოთ ოფცია1-ით განსაზღვრული ნებისმიერი ვარიანტი (ვარიანტი ა-დან ვ-ს ჩათვლით) და დამატებით შემდეგი სახის პოტენციური შედეგები:

(შენიშვნა: ვინაიდან მაგთიკომს და ჯეოსელს უფლება ექნებათ მოიპოვონ ერთნაირი რაოდენობის (ნებისმიერი ორი) ლიცენზიები, ქვემოთ განსაზღვრული შედეგები შესაძლებელია დადგეს პირიქით);



✓ Spectrum Cap-თან დაკავშირებით რომელი მიდგომა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

**საკითხი****დაფარვის ვალდებულება****დაინტერესებული პირების მიერ  
წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები****შპს „ჯეოსელი“**

შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილ წერილში (წერილის კომისიაში რეგისტრაციის № შ-6/4914-15) აღნიშნულია: ჯეოსელისათვის გასაგებია, რომ კომისია გეგმავს 800 მჰც ზოლით სარგებლობის ლიცენზიის დატვირთვას დაფარვის ვალდებულებით, თუმცა გვანტერესებს დაფარვის უფრო სპეციფიური ვალდებულებები. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულებს ექნებათ დაფარვის ვალდებულება, ჯეოსელის შემოთავაზებაა, რომ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად გამარჯვებულებს შეეძლოთ მათ სარგებლობაში არსებული ყველა სიხშირული რესურსის გამოყენება.

**11. დაფარვის ვალდებულება****კომისიის პასუხები და მოსაზრებები**

კომისიის აზრით, დაფარვის ვალდებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დიაპაზონის მახასიათებლები და აუქციონში გამარჯვებულის მიერ ბაზარზე დაკავებული პოზიცია (არსებული მობილური ოპერატორი და ახალშემომსვლელი).

კომისია გეგმავს, 800 მჰც დიაპაზონის 3 „აბსტრაქტული სიხშირული“ ლიცენზიისათვის (თითოეულისათვის ცალ-ცალკე) განსაზღვროს კონკრეტული სერვის-დეფიციტური დასახლებული პუნქტების დაფარვის ვალდებულება და შესაბამისი ვადები. კერძოდ:

დიაპაზონი	ლიცენზია (ლოტი)	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის (ლოტის) ტიპი	ლოტის შესაბამისი რესურსი		დაფარვის ვალდებულება
				Up-link	Down-link	
800 მჰც	A	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული	832-847	791-806	აჭარის ავტონომური რესპუბლიკის, გურიისა და



			რესურსით			სამცხე-ჯავახეთის რეგიონების დანართი 1-ით განსაზღვრული დასახლებული პუნქტები
	B	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	832-847	791-806	იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონების დანართი 2-ით განსაზღვრული დასახლებული პუნქტები
	C	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	832-847	791-806	სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების დანართი 3-ით განსაზღვრული დასახლებული პუნქტები

შენიშვნა: დანართებით განსაზღვრული დასახლებული პუნქტები შესაძლოა შეიცვალოს დასახლებული პუნქტების ჭრილში მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შუალედურ მონაცემებზე დაყრდნობით (სავარაუდო თარიღი: 20 სექტემბერი).

### **800 მჰც დიაპაზონში სიხშირული ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:**

ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრული დასახლებული პუნქტების მოსახლეობისათვის სტაბილურად ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება, კერძოდ, არა პიკის საათებში (როცა ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვა 60%-ზე ნაკლებია), წყვეტის გარეშე, ფიჭის საზღვარზე (Cell edge) მინიმუმ 2 მბტ/წმ „downlink“ სიჩქარით მომსახურების მიწოდება, გაზომვების 95% შემთხვევაში;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან 2 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 50%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ბ) (ბაზარზე არსებული ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 95%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

გ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 70%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

დ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად;

კომისია გეგმავს აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი დანარჩენი 900/1800/2100 მჰც ლიცენზიებისათვის განსაზღვროს დაფარვის არაკონკრეტული (მოსახლეობის პროცენტული დაფარვის) ვალდებულება, კერძოდ:

**900 მჰც დიაპაზონში სიხშირული ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:**

ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 50%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ბ) (ბაზარზე არსებული ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 95%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

გ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 70%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

დ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად.

**1800 მჰც დიაპაზონში სიხშირული ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:**

ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 40%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ბ) (ბაზარზე არსებული ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში

არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 95%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

გ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის ვადაში, ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 70%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

დ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად.

**2100 მჰც დიაპაზონში სიხშირული ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:**

ა) 2017 წლის 1 ივლისიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 35%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ბ) (ბაზარზე არსებული ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, 2017 წლის 1 ივლისიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 95%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

გ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) 2017 წლის 1 თებერვალიდან 5 წლის ვადაში, ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 70%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

დ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად.

✓ მიზანშეწონილად მიგვაჩნიათ თუ არა, რომ ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი აუქციონზე გამოვიდეს ზემოთ განსაზღვრული სალიცენზიო ვალდებულებებით?

## საკითხი

ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური

**დაინტერესებული პირების მიერ  
წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები**

### შპს „მაგთიკომი“

შპს „მაგთიკომის“ წერილში აღნიშნულია: „სიხშირული რესურსის შეფასებისა და ღირებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევის ფარგლებში „ფრანსკოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.“-ს მიერ წარმოდგენილი გაანგარიშება ეფუძნებოდა ოპტიმისტურ დაშვებებს, მაგალითად: მოდელი ითვალისწინებდა 4,5 მილიონ მოსახლეს და ეკონომიკური ზრდის 5%-იან მაჩვენებელს, რომელიც მოგვიანებით არსებითად შემცირდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს ლიცენზიის საწყისი საფასურის დადგენისას.“

### შპს „ჯეოსელი“

შპს „ჯეოსელის“ წერილში აღნიშნულია: „ერთ მეგაჰერცზე მინიმალური საფასურის განსაზღვრისას რატომ არ გაითვალისწინა კომისიამ აღწერის ბოლო მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლებასთან დაკავშირებით? ჯეოსელს მიაჩნია, რომ აუქციონის ფარგლებში სიხშირული რესურსისათვის განსაზღვრული მინიმალური საფასური ძალიან მაღალია. ჩვენ კარგად ვიცნობთ PwC-ს მიერ ჩატარებულ კვლევას, თუმცა მიგვაჩნია, რომ მინიმალური ფასი ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს უახლეს მონაცემებს; ამის გარეშე ფასები ძალიან მაღე ხდება მოძველებული, გამოუსადეგარი. ჩვენ როგორც გვესმის, მინიმალური ფასი განისაზღვრა 2014 წლის ოქტომბერში დაანგარიშებული სიხშირის ღირებულების 95%-ის ოდენობით. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომა არის საუკეთესო/იდეალური. ჩვენ გვაქვს გარკვეული პრეტენზიები/კონტრ-არგუმენტები მოწვეული კონსულტანტების მიერ ჩატარებულ გაანგარიშებებთან დაკავშირებით (რომელიც ზრდის სიხშირის ღირებულებას). მაგალითად, მინიმალური ფასი ყოველთვის განხილული უნდა იყოს, როგორც ერთიანი პაკეტის ნაწილი, რომელიც მოიცავს, მაგალითად, აუქციონის ფორმატს, სპექტრის ზედა ზღვრულ რაოდენობას, დაფარვის ვალდებულებას და მხედველობაში იღებს ლიცენზიის ხანგრძლივობას. კონკრეტული

ზოლისათვის რთულია, წარმოადგინო მინიმალური ფასი, თუ მითითებული სხვა ფაქტორების უფრო კონკრეტული მონაცემები არ არის გათვალისწინებული.“

## 12. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური

### *კომისიის პასუხები და მოსაზრებები*

კომისია მიიჩნევს, რომ ამოწურვადი რესურსის საწყისი საფასურის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გაიყოს ორ ნაწილად, კერძოდ:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისათვის განკუთვნილი უსადენო/ მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში ამოწურვადი რესურსის საწყისი საფასურის დადგენის წესი, რომელიც კომისიისა და ბაზრის მონაწილეების ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა და რომელიც შესაბამისი ცვლილების სახით (2014 წლის 7 ნოემბერს) აისახა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში.

ბ) 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ (SPA140019263) საერთაშორისო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის („ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში) მიერ, კომისიის მიერ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნებისა და ბაზრის მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრებების გათვალისწინებით განხორციელებული სამუშაო, რომლის ფარგლებშიც ბიზნეს მოდელირებისა და ბენჩმარკინგის მეთოდების გამოყენებით განხორციელდა 800 მჰც, 900მჰც, 1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონების 1 მჰც რადიოსიხშირული რესურსის ღირებულების გაანგარიშება.

PwC-ს მიერ ბიზნეს მოდელირებისა და ბენჩმარკინგის მეთოდების გამოყენებით გაანგარიშებული 800 მჰც, 900მჰც, 1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონების 1 მჰც რადიოსიხშირული რესურსის ღირებულება (შემდგომში კვლევა)

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რადგან საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაწყებული იყო 2014 წელს, რომლის შედეგებიც შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო (მეტი ან ნაკლები) კვლევის დაწყებისას ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებისაგან, კომისიამ თავიდანვე გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და მოსთხოვა PwC-ს, მინიმალურად დაყრდნობოდა საქართველოს პოპულაციის შესახებ მონაცემებს. აღნიშნული უპრობლემოდ განხორციელდა როგორც ბიზნეს მოდელირების

მეთოდოლოგიით რადიოსიხშირული რესურსის ღირებულების გაანგარიშებისას, ასევე ბენჩმარკინგის მეთოდით რესურსის ღირებულების გათვლისას.

ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიის კუთხით, ზემოხსენებული გულისხმობს, რომ PwC-ი, შესაბამისი გაანგარიშებების ფარგლებში, დაეყრდნო არა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემებს, არამედ აქტიური მობილური მომხმარებლების (მობილურ ქსელში ჩართული სიმ ბარათების/უნიკალური ტერმინალური მოწყობილობების) შესახებ კომისიის მიერ მიწოდებულ რეალურ მონაცემებს და შემდგომი წლებისათვის გაითვალისწინა აბონენტების რაოდენობის ზრდის ბაზარზე არსებული ტენდენცია. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშების მოდელში საერთოდ არ იყო გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელი.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, დავაკორექტირებთ თუ არა PwC-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ახალი მონაცემების გამოყენებით, გაანგარიშებაში არ შეიცვლება 800/900/1800 და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით 1 მჰც რესურსისათვის გაანგარიშებული ღირებულება. უფრო ნათლად რომ განვმარტოთ - მიუხედავად იმისა, თუ რომელ მონაცემებს გამოვიყენებთ, კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობის შესახებ დაკორექტირებულ (შემცირებული) მონაცემებს, თუ 2015 წლამდე არსებულ ოფიციალურ მონაცემებს, მოდელში არ შეიცვლება 33% წილის მფლობელი ჰიპოთეტური მობილური ოპერატორის აბონენტების რაოდენობა (რომელიც გამოთვლილი იყო რეალური მონაცემების გამოყენებით - მობილური აბონენტების ჯამური რაოდენობა გაყოფილი სამზე) და რომელზე დაყრდნობითაც არის აგებული გაანგარიშება); დაკორექტირდება მხოლოდ ქვეყანაში მობილური აბონენტების (მობილურ ქსელში ჩართული სიმ ბარათების/უნიკალური ტერმინალური მოწყობილობების) პენეტრაციის მაჩვენებელი, რომელიც არ მონაწილეობს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში 1 მჰც რესურსის ღირებულების გაანგარიშებაში.

**Discounted cash flow model (DCF model)  
Hypothetical Existing Georgian operator**


3. Discounted cash flow model (DCF model) Hypothetical Existing Georgian operator		calculation Colour coding reference used in model: hard entry									
<b>ASSUMPTIONS</b>											
Market share	33.33%										
Valuation date	12/31/2014										
WACC	10.16%										
Corporate income tax rate	15.00%										
Current (2014) penetration in Georgian market	114.24%	Modelled for the year 2014 based on the expected penetration growth									
Depreciation / Revenues benchmark	16.05%	Benchmark based on the peer group of companies									
CAPEX / Revenues benchmark	13.50%	Benchmark based on the peer group of companies									
NWC / Revenues benchmark	-1.49%	Benchmark based on the peer group of companies									
<b>GEL</b>	<b>2011A</b>	<b>2012A</b>	<b>2013A</b>	<b>2014F</b>	<b>2015F</b>	<b>2016F</b>	<b>2017F</b>	<b>2018F</b>			
<b>Revenues</b>											
Subscribers			1,664,373	1,709,976	1,759,615	1,810,695	1,863,257	1,917,346			
Penetration			111%	114%	117%	121%	124%	127%			
Population	4,469,200	4,497,600	4,483,800	4,490,500	4,497,623	4,504,756	4,511,902	4,519,058			
	<b>2019F</b>	<b>2020F</b>	<b>2021F</b>	<b>2022F</b>	<b>2023F</b>	<b>2024F</b>	<b>2025F</b>	<b>2026F</b>	<b>2027F</b>	<b>2028F</b>	<b>2029F</b>
	1,973,004	2,030,279	2,089,216	2,149,864	2,212,272	2,276,492	2,342,576	2,410,579	2,480,556	2,552,564	2,626,662
	131%	134%	138%	142%	146%	150%	154%	158%	162%	167%	171%
	4,526,226	4,533,405	4,540,596	4,547,798	4,555,011	4,562,236	4,569,472	4,576,720	4,583,979	4,591,250	4,598,532

მაგალითად, თუ ახალ მონაცემებზე (3 729 500 მოსახლე) დაყრდნობით დავაკორექტირებთ ანგარიშში მოცემულ მობილური აბონენტების (მობილურ ქსელში ჩართული

სიმ ბარათების/უნიკალური ტერმინალური მოწყობილობების) პენეტრაციის მაჩვენებელს, 2015 წელს პენეტრაცია 117% -ის ნაცვლად 142% იქნება, ხოლო 2029 წელს 171%-ის ნაცვლად 211%.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლების რიცხოვნობის ახალ მონაცემებზე (3 729 500) დაყრდნობით, 2015 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მობილური აბონენტების **სიმკვრივემ 153, 8 % შეადგინა**. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ GSMA Intelligence-ის გათვლებით აქტიური სიმ-ბარათების პენეტრაცია 2017 წელს ევროპაში 214% მიაღწევს<sup>22</sup>, მოსახლების რიცხოვნობის ახალი მონაცემების (3 729 500 მოსახლე) გათვალისწინებით 2029 წლისათვის საქართველოსთვის პროგნოზირებული 211% -იანი პენეტრაციის მაჩვენებელიც კი საკმაოდ პესიმისტურად გამოიყურება.

## SIM PENETRATION BY REGION



Source: A.T. Kearney, GSMA Wireless Intelligence

მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ახალი მონაცემების გათვალისწინებით, PwC-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ვერ გამოვიყენებთ მხოლოდ - 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში **ერთ სულ მოსახლეზე ერთი მჰც რესურსისათვის** (Price per MHz per capita) განსაზღვრულ საფასურს, რომელიც გაანგარიშდა შემდეგნაირად - ბიზნეს მოდელირებით გაანგარიშებული 1 მჰც რესურსის ღირებულება გაყოფილი მოსახლეობის რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დაგჭირდება 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში **ერთ სულ მოსახლეზე ერთი მჰც რესურსის ღირებულების გამოთვლა**, კომისია PwC-ს მიერ ბიზნეს მოდელირებით გაანგარიშებულ 1 მჰც რესურსის ღირებულებს გაყოფს საქართველოში 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით განსაზღვრულ მოსახლეობის რიცხოვნობაზე (3 729 500 მოსახლე).

რაც შეეხება 800, 900, 1800 და დაწყვილებული 2100 მჰც, ისევე როგორც დაწყვილებულ და დაუწყვილებელ 2600 მჰც სიხშირული რესურსის ღირებულების ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით გაანგარიშებას, აღნიშნული გათვლები წარმოდგენილი იყო ერთ სულ მოსახლეზე 1 მჰც რესურსის ღირებულების სახით, სადაც არ მონაწილეობდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კომისია ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მონაცემებზე დაყრდნობით განახორციელებს

<sup>22</sup> მობილური პენეტრაცია კიდევ უფრო გაიზრდება M2M (machine to machine) კომუნიკაციებისა და "Internet of things"- ის განვითარებასთან ერთად. Internet of Things (IoT) -მომავლის ტექნოლოგია და ზაზის განვითარების ტენდენცია, როდესაც ყველა სამომხმარებლო მოწყობილობა (დაწყებული სმარტფონიდან დამთავრებული ავტომანქანითა და ყავადანით) ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებულია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან/სერვერთან/ერთმანეთთან, რაც ნებისმიერი ამგვარი მოწყობილობის დისტანციური მართვის საშუალებას იძლევა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. <https://ec.europa.eu/digital-agenda/en/internet-things>

1 მჰც რესურსის გაანგარიშებას (მაგ. 2600 მჰც დიაპაზონი), შესაბამისი დიაპაზონისათვის ბენჩმარკინგით დადგენილი, ერთ სულ მოსახლეზე 1 მჰც რესურსის საფასური გადამრავლება საქართველოში 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით განსაზღვრულ მოსახლეობის რიცხოვნობაზე (3 729 500 მოსახლე).

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შესაბამის დიაპაზონებში 1 მჰც რესურსის ღირებულება გაანგარიშებულია არა ცალკეული დიაპაზონისათვის განყენებულად, არამედ როგორც ერთიანი პაკეტის ნაწილი, სადაც გათვალისწინებულია რიგი საკითხები, კერძოდ: ა) ჰარმონიზებული და საქართველოში ხელმისაწვდომი ყველა ის დიაპაზონი ერთობლივად, რომლებიც მობილურ ბაზარზე მოკლევადიან, ისევე, როგორც გრძელვადიან პერიოდში კონკურენტული მობილური მომსახურების მიწოდების საშუალებას იძლევა (კერძოდ 800, 900, 1800 და დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონები); ბ) მობილურ ბაზარზე კონკურენციის კუთხით დასაშვები დონე (სამი ოპერატორი) და 800, 900, 1800 და დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონებში ჰიპოთეტური, 33%-იანი წილის მფლობელი ოპერატორისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი და ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური რესურსის ოდენობა და გ) ლიცენზიის 15 წლიანი პერიოდი.

რაც შეეხება ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში ამოწურვადი რესურსის საწყისი საფასურის დადგენის წესს, კომისიამ, ბაზრის მონაწილეების აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა და 2014 წლის 7 ნოემბერს მიიღო N8 დადგენილება, რომლითაც ცვლილებები შევიდა რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში.

კერძოდ, დადგენილებით განისაზღვრა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის დადგენის წესები; შემუშავდა ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე ლიცენზიით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის გაანგარიშების შემდეგი ფორმულა:

$$P = P_n * C - B$$

სადაც:

- P - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა ლარებში;
- $P_n$  - რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულება;
- C - ერთი ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა(მჰც-ების) ოდენობა;
- B - სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების ( $P_n * C$ ) კომისიის მიერ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება, რომელიც დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აუქციონის გამოცხადებისას კომისიას შესაძლებლობა აქვს კონკრეტული ლიცენზიისათვის განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნებისა და ვალდებულებების გაითვალისწინებით განსაზღვროს 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება და ისე გაიანგარიშოს შესაბამისი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური.

რაც შეეხება სააუქციონოდ გამოსატანი ლოტების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსის საწყის საფასურს, კომისიას მიაჩნია, რომ აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი ლიცენზიების (გარდა 800 მჰც დიაპაზონის მე-6 ბლოკის შესაბამისი ლიცენზიისა) საწყისი საფასური უნდა გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება განსაზღვრული იქნება მინიმალური 5%-ის ოდენობით, კერძოდ:

ლიცენზია (ლოტი)	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	(ლოტის) სულ რესურსი	ლიცენზიის (ლოტის) სიხშირული რესურსი	შესაბამისი	რადიოსიხშირული სარგებლობის საწყისი საფასური (ლარი)	სპექტრით
A	2 x 5		აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)		24 182 193	
B	2 x 5		აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)		24 182 193	
C	2 x 5		აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)		24 182 193	
D	2 x 5		კონკრეტული (816-821 და 857-862 მჰც)		20%-მდე ფასდაკლება	
E	2 x 4.5		კონკრეტული (880-884.5 და 925-929.5 მჰც)		21 112 232.85	
F	2 x 5		კონკრეტული 1770-1775 და 1865-1870 მჰც)		13 525 957.50	
G	2 x 5		აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)		8 199 336	
H	2 x 5		აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)		8 199 336	
I	2 x 5		აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)		8 199 336	

## საკითხი

### ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის პირობები

#### დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები

შპს „ჯეოსელს“ აინტერესებს, თუ როგორი იქნება გადახდის პირობები აუქციონით დაფიქსირებული საბოლოო საფასურისათვის;

შპს „მაგთიკომი“ გვთავაზობს, გავითვალისწინოთ ლიცენზიის ღირებულების ფასდაკლება, იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული ლიცენზიის ღირებულებას სრულად დაფარავს ლიცენზიის მინიჭებისთანავე.

### **13. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის პირობები**

#### კომისიის პასუხები

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ ლიცენზია გაცივმა კონკურსში გამარჯვებულის მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 30 პროცენტის გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდა კი ხორციელდება ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კომისიას არ აქვს უფლება, დისკრეციულად განსაზღვროს ლიცენზიის საფასურის გადახდის ძირითადი პირობები, მით უმეტეს, განუსაზღვროს ფასდაკლება აუქციონში გამარჯვებულს, რომელმაც თვითონ დააფიქსირა შესაბამისი თანხის გადახდაზე მზადყოფნა.

კანონის შესაბამისად კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს მხოლოდ აუქციონის შედეგად დაფიქსირებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი 70 პროცენტის ერთი წლის ვადაში გადახდის გრაფიკი.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დარჩენილი საფასურის (70 პროცენტის) განაწილება ხორციელდება 12 თვეზე პროპორციულად, თუმცა კომისია მზადაა გაითვალისწინოს დაინტერესებული პირების მოთხოვნები და მოსაზრებები ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 70 პროცენტის 1 წლის ფარგლებში განაწილების მეთოდებთან დაკავშირებით.

## საკითხი

აუქციონების ფორმატი და აუქციონების გამართვის წესი

*დაინტერესებული პირების მიერ  
წარმოდგენილი მოსაზრებები/კითხვები*

### EBRD:

„გრძელვადიან პერსპექტივაში კომისიამ უნდა გაითვალისწინოს აუქციონის ჩატარების უფრო თანამედროვე მიდგომა - ცალკეული ბლოკების აუქციონზე გამოტანა არ წარმოადგენს სპექტრის გაცემის (მინიჭების) საუკეთესო მეთოდს.“

### შპს „ჯეოსელი“

„ჯეოსელი ზოგადად მხარს უჭერს კომისიის წინადადებას „თითოეული ლოტისათვის ღია, აღმავალი შეთავაზების აუქციონის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, ერთდროული მრავალრანჟიანი აუქციონის ფორმატით. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ფორმატისათვის არსებობს ბევრი სხვა ალტერნატივა, ჯეოსელს სურს შემოგთავაზოთ კონკრეტული წინადადება, თუ როგორ უნდა ჩატარდეს იგი. ჯეოსელი მოხარული იქნება, განიხილოს აუქციონის უფრო დეტალური/სპეციფიკური შეთავაზებები.“

აუქციონის განხორციელებასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ელექტრონულ აუქციონს, სადაც შესაძლებელი იქნება ინტერნეტის მეშვეობით შეთავაზების გაკეთება სასურველი ადგილმდებარეობიდან. ელექტრონული აუქციონები ფართოდ გამოიყენება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სანდო და მოქნილ პროცესს. აუქციონის ელექტრონული პროგრამები, რომელებიც დღეს ბაზარზე არსებობს, ზოგადად, ძალიან მოსახერხებელია და შეუძლია მრავალი სხვადასხვა პირობის გათვალისწინება; აუქციონის მსვლელობისას საშუალებას აძლევს, როგორც აუქციონის ორგანიზატორებს, ასევე, მონაწილეებს გაანალიზონ სხვადასხვა შეთავაზებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ინახება სისტემაში შემდგომი გამოყენებისათვის.“

## 14. აუქციონების ფორმატი და აუქციონების გამართვის წესი

**კომისიის პასუხები და მოსაზრებები**

კომისია ეთანხმება დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ მომავალში საჭირო იქნება მრავალდიაპაზონიანი და მრავალლოტიანი აუქციონების მართვის თანამედროვე (ელექტრონული აუქციონის) მეთოდის დანერგვა, მაგალითად, ისეთის, როგორც არის ე.წ. Combinatorial Clock Auction (CCA). თუმცა, მოცემულ ეტაპზე, 800/900/1800/2100 მჰც რესურსზე დაგეგმილი აუქციონების გამართვისას, კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს დღეს არსებული კანონმდებლობით და შეეცადოს, მოარგოს არსებული ნორმები აუქციონის დაგეგმილ ფორმატს<sup>23</sup>.

კომისია აუქციონების ჩატარებას გეგმავს თითოეული ლიცენზიისათვის (ლოტისთვის) დამოუკიდებლად, ერთი და იგივე დღეს, შემდეგი თანმიმდევრობით:

აუქციონების გამართვის თანმიმდევრობა	ლიცენზიის (ლოტის) პირობითი სახელწოდება	დიაპაზონი	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში სულ ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის (ლოტის) შესაბამისი სიხშირული რესურსი	შესაბამისი ვალდებულება	რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საწყისი საფასური (ლარი)
I	A	800 მჰც	2 x 5	აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)	კონკრეტული დასახლებული პუნქტების დაფარვის ვალდებულებით	24 182 193
II	B		2 x 5	აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)	კონკრეტული დასახლებული პუნქტების დაფარვის ვალდებულებით	24 182 193
III	C		2 x 5	აბსტრაქტული (791-806 და 832-847 მჰც-ის ფარგლებში)	კონკრეტული დასახლებული პუნქტების დაფარვის ვალდებულებით	24 182 193
IV	D		2 x 5	კონკრეტული (816-821 და 857-862 მჰც)	მეორადი გამოყენების უფლებით/დაფარვის ვალდებულების გარეშე	20%-მდე ვასდაკლებით
V	E	900 მჰც	2 x 4.5	კონკრეტული (880-884.5 და 925-	მოსახლეობის დაფარვის ზოგადი	21 112 232.85

<sup>23</sup> კომისია დაიწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის შესახებ“ კომისიის დადგენილებაში შესაბამის ცვლილებების შეტანის შესახებ

				929.5 მჰც)	ვალდებულებით	
VI	F	1800 მჰც	2 x 5	კონკრეტული 1770-1775 და 1865-1870 მჰც)	მოსახლეობის დაფარვის ზოგადი ვალდებულებით	13 525 957.50
VII	G	2100 მჰც	2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	მოსახლეობის დაფარვის ზოგადი ვალდებულებით	8 199 336
VIII	H		2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	მოსახლეობის დაფარვის ზოგადი ვალდებულებით	8 199 336
IX	I		2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	მოსახლეობის დაფარვის ზოგადი ვალდებულებით	8 199 336

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი განცხადება და დოკუმენტაცია**

- ლიცენზიის/ლიცენზიების მაძიებელმა აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის უნდა წარმოადგინოს წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი და რამდენი ლიცენზიის მიღებას ითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
- ლიცენზიის მაძიებელი უფლებამოსილი იქნება, განცხადებაში მიუთითოს როგორც კონკრეტული ლიცენზიები (ლოტები), ასევე, ალტერნატიული ლიცენზიები და ალტერნატიული კომბინაციები, ნებისმიერი რაოდენობით. თუმცა ლიცენზიის მფლობელმა ასევე უნდა მიუთითოს, თუ რამდენი ლიცენზიის მიღებას ითხოვს ჯამში (მაქსიმუმ) ლიცენზიის მაძიებელი.

**მაგალითად:**

ა) თუ ლიცენზიის მაძიებელს სურს, რომ 800 მჰც დიაპაზონში მოიპოვოს 2 x 10 მჰც რესურსი, კერძოდ 2 ნებისმიერი ლიცენზია, მან განცხადებაში უნდა მიუთითოს:

**800 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომი ნებისმიერი 2 ლიცენზია, კერძოდ A, B, C ან D ლიცენზიები (ლოტები), ჯამში 2 ლიცენზია (ლოტი), სულ 2 x 10 მჰც რესურსი;**

ბ) თუ ლიცენზიის მაძიებელს სურს, რომ მოიპოვოს 800 მჰც დიაპაზონში არსებული რომელიმე ორი კონკრეტული ლიცენზია (მაგალითად მე-6 ბლოკის შესაბამისი ლიცენზია და პირველი ლიცენზია) მან განცხადებაში უნდა მიუთითოს:

